# გავაძლიეროთ ერთმანეთი თემის საკეთილდღეოდ

# LET'S STRENGTHEN ONE ANOTHER FOR THE WELL-BEING OF THE COMMUNITY

2011

გამოცემა მომზადდა პროექტის „ქალები თანასწორორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: ფონდი ტასო და ქალთა საინფორმაციო ცენტრი. პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს ნორვეგიის მთავრობა.

ამ პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები და შეხედულებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.

This publication was prepared within the framework of the project of ‘Women for Equality, Peace and Development in Georgia’ carried out by UN Women in cooperation with the Taso Foundation and Women’s Information Center. The project implementation is supported by the Government of Norway.

Views and opinions expressed in this publication do not present the official position of the UN Women.

ISBN -978-9941-0-3902-7

# სარჩევი


შესავალი ..... 5

სოციალური მობილიზაცია იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების გასაძლიერებლად ..... 7

თბილისი ..... 13

სასკოლო დარბაზი და ცეკვის სტუდია დევნილთა ბავშვებისათვის ..... 14

შიდა ქართლი ..... 16

საქონლის აცრა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინით ..... 17

სოფელ თერგვისში ქალთა ეკონომიკური გააქტიურება ..... 17

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა ..... 19

საგანმანათლებლო ცენტრი ტირძნისში ..... 23

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ..... 25

სასაზღვრო სოფლების მოხუცთა დახმარება ..... 26

ქვემო ქართლი ..... 27

ბიომეურნეობა წინწყაროში ..... 28

იმერეთი ..... 30

მესაქონლეობა ქუთაისში ..... 31

სამეგრელო ..... 32

სამშვიდობო კონფერენცია ანაკლიაში ..... 33

უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ..... 36

თემის განვითარების რესურსცენტრი სოფელ კოკში ..... 38

მუშაობა სკოლამდელ აღსაზრდელებთან საზღვრისპირა სოფლებში - ხურჩასა და კოკში ..... 41

თევზსაჭერი სოფელ კოკში ..... 43

მებოსტნეობა ჯგუფისა და თემის სასარგებლოდ ..... 45

# Table of Content

Introduction........................................................5

Social mobilization to strengthen internally displaced and conflict-affected persons........7

Tbilisi........................................................13

School Concert Hall and Dance Studio for Internally Displaced Children........14

Shida Kartli ........................................................16

Animal Vaccination against Plague........17

Stir up of Economic Activities of Women in village Tergvisi ........17

Access to Drinking Water........19

Educational Centre in Tirdznisi ........23

Cooperation with Local Self-Government ........25

Assisting Elderly in the Villages Adjacent to the Administrative Boundary Line ........26

Kvemo Kartli........................................................27

Bio-Farming in Tsintskaro ........28

Imereti........................................................30

Animal Breeding in Kutaisi ........31

Samegrelo........................................................32

Peace Conference in Anaklia ........33

Safe Living Place for Population who had suffered as a result of Conflict ........36

Community Development Resource Center in the Village of Koki ........38

Working with Pre-School Children in the Villages of Khurcha and Koki Adjacent to an Administrative Boundary Line ........41

Fishery in Village Koki ........43

Village Gardening Group for the Community Benefit ........45

# შესავალი
# Introduction

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), ქალთა საინფორმაციო ცენტრთან და ქალთა ფონდ ტასოსთან თანამშრომლობით და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2010 წლიდან ახორციელებს სამწლიან პროექტს „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში". პროექტის მიზანია, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ჯგუფებისათვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა სამთავრობო პარტნიორებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა და მათთვის სხვადასხვა შესაძლებლობის უზრუნველყოფა საქართველოში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისა და ქალთა უფლებების დასაცავად.

ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში საქმიანობა სამ დამოუკიდებელ და, ამავდროულად, ერთმანეთთან გადაჯაჭვულ დონეზე ხორციელდება:

ა) ეროვნული პოლიტიკის დონეზე, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების, გეგმებისა და ბიუჯეტის შესაბამისობას გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ კონვენციისა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების პრინციპებთან;

ბ) ადგილობრივი ინსტიტუტების დონეზე, რომლის მიზანია არსებული რესურსების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ინფორმირების გასაუმჯობესებლად და მათთვის უკეთესი მომსახურების შესათავაზებლად;

გ) თემის დონეზე, რაც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ჯგუფების მხარდაჭერას, რათა მათ თავად მიიღონ აქტიური და ეფექტური მონაწილეობა იმ პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ზეგავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე.

აღნიშნულ პროექტში ფონდი ტასოს ძირითადი ამოცანაა იძულებით გადაადგილებულთა და კონფლიქტით დაზარალებულთა, განსაკუთრებით კი ქალთა სათემო მობილიზაცია. პროექტის ფარგლებში დაინერ-

Since 2010, UN Women in cooperation with Women's Information Center and Taso Foundation with support of the Royal Government of Norway, has been implementing a three-year project "Women for Equality, Peace and Development in Georgia" (WEPD). The project aims to support the efforts and strengthen the capacities of internally displaced and conflict-affected women's groups, other partners from civil society and government to advance gender equality and women's human rights in Georgia. In order to achieve this goal, activities within the project are implemented at three interdependent and mutually reinforcing levels:

A. at national policy level, to ensure strategies, policies, plans and budgets are in line with Convention on the Elimination of all forms of Discrimination against Women (CEDAW) and principles of the UN Security Council Resolutions 1325, 1820, 1888, 1889 and 1960;

B. at the level of national institutions, towards strengthening capacity to deliver better information and services for IDPs[1] and conflict-affected women, and

C. at grassroots level, by supporting IDPs and conflict affected women's groups and communities to organize and participate actively and effectively in influencing policies and decisions that affect their lives.

Within the Project, the main objective of the Taso Foundation is community mobilization of internally displaced and conflict-affected persons, with particular focus on women. The Project employs the community/social mobilization method, which has been widely used for strengthening of rural population and for poverty reduction in Central Asian countries, specifically in Kyrgyzstan and Tajikistan. Starting from 2010, with guidance from the UN Women Sub-regional Office for Eastern Europe and Central Asia, the WEPD project has successfully adapted the social mobilization model from

1. Internally Displaced Persons

გა თემის/სოციალური მობილიზაციის ის მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ცენტრალური აზიის ქვეყნებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გასაძლიერებლად და სიღარიბის დასაძლევად, განსაკუთრებით კი, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. 2010 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელობით ზემოაღნიშნული პროექტის მიერ წარმატებით იქნა ადაპტირებული ყირგიზეთში დანერგილი სოციალური მობილიზაციის მეთოდი. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ყირგიზეთის ოფისისა და მათი ადგილობრივი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის „თემის განვითარების ალიანსი“-ს ექსპერტებმა დახმარება გაუწიეს პროექტს „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ შეემუშავებინათ სოციალური მობილიზაციის ქართული მოდელი კონფლიქტის შემდგომი სიტუაციისა და იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების საჭიროებების გათვალისწინებით. ამ მიზნით ორგანიზაციიდან „თემის განვითარების ალიანსი“ ყირგიზი ექსპერტის მიერ ჩატარდა ხუთდღიანი სემინარი პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის - ფონდი ტასოსთვის და პროექტის სხვა მონაწილეებისათვის. სემინარის მიზანი იყო მონაწილეთა უნარ-ჩვევების და ცოდნის გაუმჯობესება სოციალური მობილიზაციის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიაა იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებთან მუშაობის დროს. სემინარზე შემუშავდა სოციალური მობილიზაციის გზამკვლევი, რომელიც ქართულ კონტექსტზეა მორგებული და ორიენტირებულია იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტებით დაზარალებულ მოსახლეობაზე. გზამკვლევში განსაზღვრულია პროექტის სოციალური მობილიზაციის კომპონენტში ჩართული პარტნიორების ფუნქციები, პასუხისმგებლობის სფეროები და ვალდებულებები, რათა მოხდეს ჯგუფების ფორმირება ადგილობრივი აქტივობების ეფექტურად განხორციელებისათვის. პროექტის ფარგლებში სოციალური მობილიზაცია წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული პირების ეკონომიკური გაძლიერებისა და სოციალური დაცვის, აგრეთვე სათემო განვითარებაში წვლილის შეტანის საშუალებას.

წინამდებარე პუბლიკაციის დანიშნულებაა პროექტის ფარგლებში შემუშავებული სოციალური მობილიზაციის მოდელის წარმოდგენა. იგი ვრცლად ასახავს სოციალური მობილიზაციის შედეგად მიღებულ შედეგებსა და თვითდახმარების ჯგუფების მიერ სათემო განვითარების ხელშეწყობისათვის განხორციელებულ საქმიანობებს.

Kyrgyzstan. Experts from UN Women Kyrgyzstan along with their local implementing partner Non-profit Organization “Community Development Alliance” have assisted the WEPD to adapt the social mobilization model to the Georgian context considering the post-conflict situations and the needs of displaced and conflict-affected persons in the country. With this purpose a special five-day induction workshop was organized by Kyrgyz expert from the Community Development Alliance. The workshop was conducted for the partner organization Taso Foundation and other Project participants. The workshop aimed at increasing the skills and knowledge of participants on social mobilization as an important strategy of work with IDP and conflict-affected communities. At the end of the workshop the Social Mobilization Roadmap tailored to the Georgian context with particular focus on IDP and conflict-affected citizens was elaborated. This Roadmap defines the steps, spells out the distribution of tasks, roles, and functions among the different Project partners engaged in social mobilization component in order to form the groups and support their local activities. Goal of social mobilization within the Project is understood as economic strength-ening and social protection of internally displaced and conflict-affected persons, and contribution to community development.

The objective of this publication is to briefly present the model of social mobilization developed within the framework of the Project.  This publication widely presents the results of social mobilization and activities implemented by self-help groups in support of community development.

# სოციალური მობილიზაცია იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების გასაძლიერებლად
# Social mobilization to strengthen internally displaced and conflict- affected persons

სოციალური მობილიზაციის მოდელი გულისხმობს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ჯგუფების მობილიზაციას და მათ გაძლიერებას იმისათვის, რომ დაცული იყოს ყველაზე მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფების (განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა) ადამიანის უფლებები, მოხდეს მათი შესაძლებლობების განვითარება სიღარიბის აღმოსაფხვრელად. „სოციალური მობილიზაცია წარმოადგენს მიდგომას და მექანიზმს, რომელიც ხალხს კოლექტიურად მოქმედების საშუალებას აძლევს, ახდენს რესურსების მობილიზებას და ამკვიდრებს სოლიდარობას საერთო პრობლემების მოგვარებისა და თემის გაძლიერებისათვის. ეს არის პროცესი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქალებსა და მამაკაცებს შექმნან დემოკრატიული თვითმმართველი ჯგუფები ან სათემო ორგანიზაციები, რომლებიც საშულებას აძლევს მათ მოახდინონ ინიცირება და გააკონტროლონ თავიანთი პირადი თუ თემის განვითარება, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება მთავრობის ან სხვა გარე ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ აქტივობებში მხოლოდ მონაწილეობის მიღებისაგან (მუსისი, 2002)“[1]. სოციალური მობილიზაციის მთავარ პრინციპს წარმოადგენს მონაწილეობა არა მხოლოდ როგორც მიზანი, არამედ როგორც პროცესი. პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში შემუშავებული სოციალური მობილიზაციის გზამკვლევი გამოყოფს მონაწილეობის სხვადასხვა ეტაპებს და ნათლად განსაზღვრავს მობილიზაციის პროცესში ჩართული თითოეული მონაწილის როლსა და ფუნქციას.

1. „სამოქალაქო საზოგადოების როლი ადგილობრივ მმართველობასა და სიღარიბის დაძლევაში: წარმოდგენები, რეალობა და გამოცდილება“.

The social mobilization model implies mobilization of displaced and conflict-affected groups and their strengthening in order to protect human rights of groups of the most vulnerable categories (especially women and children) and develop their skills in order to eradicate poverty. “Social mobilization is an approach and tool that enables people to organize for collective action, by pooling resources and building solidarity required to resolve common problems and work towards community advancement. It is a process that empowers women and men to organize their own democratically self-governing groups or community organizations which enable them to initiate and control their own personal and communal development, as opposed to mere participation in an initiative designed by the government or an external organization (Musisi, 2002.)”[2]. The main principle of social mobilization is participation not only as a goal but also as a process. The Social Mobilization Roadmap elaborated in the frameworks of the WEPD Project foresees different stages of participation, clearly defining the functions and responsibilities for each actor involved in the mobilization process.

It is worth pointing out that social mobilization results in information provision and awareness raising on women’s rights in order to improve their social and economic conditions. Under social mobilization, special attention

2. “The Role of Civil Society in Local Governance and Poverty Alleviation: Concepts, Realities and Experiences”.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მობილიზაციის შედეგად ხდება ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება იმისათვის, რომ მოხდეს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სოციალური მობილიზაციის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თემისა და ადგილობრივი მთავრობის თანამშრომლობასა და ურთიერთკავშირს, მათ ერთობლივ ინიციატივებსა და საქმიანობებს, რათა ქალთა ჯგუფებმა შეძლონ მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომელიც ეხება მათ ცხოვრებას. სოციალური მობილიზაციის მეთოდის გამოყენებითა და ქალთა ლიდერობით შექმნილია დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა თვითდახმარების ჯგუფები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სოციალური მობილიზაციის პროცესის განხორციელებას ხელს უწყობდნენ ფონდი ტასოს სათემო მუშაკები, რომლებიც პროექტის ხუთ სამიზნე რეგიონიდან იქნენ შერჩეულნი. პროექტის ფარგლებში მუშაობს ექვსი სათემო მუშაკი. სამი სათემო მუშაკი მუშაობს შიდა ქართლის რეგიონში – ესენია სოფლები: ტირძნისი, თერგვისი, კარალეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება სკრა; ორი სათემო მუშაკია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში – სოფლები: კოკი, ორსანტია, კახათი, ანაკლია, ხურჩა; თითო სათემო მუშაკი ფარავს თბილისს - აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ დასახლებას ვაშლიჯვარში; ქვემო ქართლს - დევნილთა დასახლებას სოფელ წინწყაროში და იმერეთის რეგიონს – დევნილთა ორ თემს ქ. ქუთაისში[2] და დასახლებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში. სათემო მუშაკებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები სოციალურ მობილიზაციაში, აგრეთვე შემდეგ საკითხებში: პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მონაცემთა შეგროვების ტექნოლოგიები, ქალთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები. სათემო მუშაკები და მობილიზებული თვითდახმარების ჯგუფების წევრები რეგულარულად ახორციელებენ თემის საჭიროებების ანალიზს, რათა მოხდეს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტებისა და პრობლემების გამოვლენა და შემდგომში მათზე რეაგირება. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს სამომავლო საქმიანობისათვის მონაცემთა შეგროვება. შეგროვებული მონაცემები გამოიყენება ინდივიდუალური შემთხვევების პრიორ-

2. კომპაქტური დასახლების კორპუსები: ყოფილი სატუმრო „მთის ბროლი“ და №30 ბაგა-ბაღის შენობა

is paid to the cooperation and interconnection between community and local government, their joint initiatives and activities in order to enable women to participate in decision making processes affecting their lives. Using the method of social mobilization and with women's leadership, self-help groups for internally displaced and conflict-affected persons were created.

In the framework of the Project the process of social mobilization was facilitated by Taso Foundation community workers. Community workers were selected from the five target region of the Project. There are 6 community workers under the Project. Three community workers are in the villages of Shida Kartli Region: Tirdznisi, Tergvisi, Karaleti, Didi Garejvari, Patara Garejvari, IDP settlement Skra; two community workers are in the villages of Samegrelo – Zemo Svaneti region: Koki, Orsantia, Kakhati, Anaklia, Khurcha; and one community worker covers Tbilisi – collective center of internally displaced persons from Abkhazia in Vashlijvari; Kvemo Kartli – internally displaced persons in the village of Tsintskaro and Imereti region – two IDP communities in the city of Kutaisi[3] and collective center in the village Didi Jikaishi of Samtredia municipality. The community workers were trained in social mobilization methodology as well as in: presentation and communications skills, data collection techniques, women rights, gender equality and UN guiding principles on IDPs. Community workers and members of the mobilized self-help groups are regularly conducting community mappings and needs assessments in order to study priorities and identify existing problems of the most vulnerable groups within the IDP and conflict-affected communities that will be later addressed by their initiatives. The data collection is important phase creating the baseline as a foundation for future practice. The collected data are used to define the priorities and needs of particular sites, assisting the self-help groups in planning and implementation of their local initiatives and small-scale projects.

Following the social mobilization methodology described above as a result of 2-year work, at this stage, a total of 42 self-help groups were created

3. Buildings in Collective Center: former hotel "Mtis Broli" and building of kindergarten N30.

იტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრისათვის, რაც თვითდახმარების ჯგუფებს ადგილობრივი ინიციატივებისა და მცირე პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში უწყობს ხელს.

ზემოთ აღწერილი სოციალური მობილიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენებისა და ორწლიანი მუშაობის შედეგად ამჟამად სულ შექმნილია 42 თვითდახმარების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს 225 ადამიანს; აქედან, ქალები შეადგენენ ჯგუფების 89%-ს (202 ადამიანი). თითო ჯგუფში გაერთიანებულია 5-დან 10 პირამდე, რომლებმაც გაიარეს სხვადასხვა ტიპის ტრენინგი და ამჟამად მუშაობენ სოფლებში თემის განვითარებისათვის. ამ პუბლიკაციაში მოცემულია მაგალითები, თუ როგორ მუშაობენ თვითდახმარების ჯგუფები და როგორ შეაქვთ წვლილი თემის განვითარებაში, ადვოკატირებისა და უფლებათა დაცვის საკითხებში. ისინი ორგანიზებულად და თანმიმდევრულად მუშაობენ თავიანთი ოჯახებისა და თემის საკეთილდღეოდ. არსებული ჯგუფები მუშაობენ საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ფონდი ტასოს მხარდაჭერით. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ პროექტის იურიდიული საკონსულტაციო ცენტრების იურისტებთან, ქალთა საინფორმაციო ცენტრთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და თავთავიანთ რეგიონებში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ჯგუფის წევრები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა რეგიონებში. ჯგუფების განლაგება რეგიონების მიხედვით ასეთია: 3 ჯგუფი არის თბილისში, 2 ჯგუფი – ქვემო ქართლში, 17 ჯგუფი – შიდა ქართლში, 14 ჯგუფი –სამეგრელოში და 6 ჯგუფი – იმერეთში. ფონდი ტასოს ხელშეწყობით ჯგუფებმა გახსნეს 12 რესურსცენტრი პროექტის სამიზნე ადგილებში[3].

პროექტის ფარგლებში სოციალური მობილიზაცია ხორციელდება 19 სხვადასხვა ადგილას, 2 ქალაქსა და 17 სოფელში. იმ რეგიონებში, სადაც თვითდახმარების ჯგუფები მუშაობენ, დევნილების და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული საჭიროებებია:

- ცენტრისგან მოშორებულ საცხოვრებელ ადგილებში ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურეობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (საბავშვო ბაღები, სამედიცინო ცენტრები, ამბულატორიული კლინიკები);

3. ესენია: ქალაქები თბილისი და ქუთაისი, სოფლები: თერგვისი, ტირძნისი, ქარალეთი, პატარა გარეჯვარი, კახათი, ორსანტია, კოკი, ხურჩა, ანაკლია, დევნილთა სკრის ჩასახლება.

involving 225 individuals where 89% consists of women (202 individuals). Each group is comprised of 5-10 persons who have undergone various types of trainings and currently work for community develop-ment in the villages. This publication presents the examples of how self-help groups work and how they contribute to community development, advocacy and rights protection issues. They work to benefit their families and community in an organized and consistent manner. Existing groups work with the support of UN Women Georgia and Taso Foundation. They actively cooperate with the legal clinics' lawyers involved in the project, The Women's Information Center, representatives of local self-government and civil society organizations that are active in their respective regions. Groups' distribution according to regions is as following: 3 groups are located in Tbilisi, 2 – in Kvemo Kartli, 17 – in Shida Kartli, 14 – in Samegrelo and 6 – in Imereti. With the efforts of Taso Foundation, the groups opened field centers in 12 target locations of the project[4].

Within the Project framework social mobilization is carried out in 19 various locations, 2 cities and 17 villages. In the regions where self-help groups are working, the most frequently named needs by displaced and conflict-affected individuals include:

- Limited access to health care and social services such as kindergartens, medical centers and/or outpatient clinics in areas where the existing settings and facilities were distant from living areas;
- Lack of information on existing social services and protection mechanisms, such as existing state-funded health care and social programmes, and shelters for the victims of domestic violence;
- Restricted opportunities for women to be economically self-reliant and independent and the necessity of having special programmes and assistance for women's economic empowerment;
- Lack of informal and professional education opportunities for youth;
- Lack of awareness and knowledge on the rights by internally-displaced and conflict-affected women;

4. These are: Tbilisi and Kutaisi cities, villages: Tergvisi, Tirdznisi, Karaleti, Patara Garejvari, Kakhati, Orsantia, Koki, Khurcha, Anaklia, IDP settlement Skra.

- ინფორმაციის ნაკლებობა არსებულ სოციალურ პროგრამებსა და დაცვის მექანიზმებზე, როგორებიცაა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრები და სხვ;
- ქალების ეკონომიკურად გაძლიერებისათვის სპეციალური დახმარების პროგრამების აუცილებლობა;
- ახალგაზრდებისათვის პროფესიული და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების ნაკლებობა;
- ადამიანთა უფლებების შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის დეფიციტი, განსაკუთრებით კი, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის;
- სათემო რესურსცენტრების, კომპიუტერული ცენტრებისა და სხვა პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების არარსებობა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის;
- ადმინისტრაციულ პირობით სასაზღვრო ზოლებთან, კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობისათვის უსაფრთხოება და დაუცველობა.

ქალთა უფლებების დასაცავად თვითდახმარების ჯგუფების, როგორც ადამიანთა მობილიზებული, მიზანდასახული და ინსტიტუციურად განვითარებული გაერთიანებების მოღვაწეობის მნიშვნელობა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ კონვენციის მე-14 მუხლით არის განმტკიცებული; კონვენციის მიხედვით „მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და - მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, ასევე, მათ საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში...მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ სოფლის რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად და უზრუნველყოფენ ასეთ ქალებს უფლებით, შექმნან თვითდახმარების ჯგუფები და კოოპერატივები, რათა უზრუნველყონ ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაქირავებით მუშაობის ან დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის მეშვეობით“.

პროექტის ფარგლებში, სოციალური მობილიზაციის შემადგენელი კომპონენტია მცირე გრანტების მხარდაჭერა. 2010 წელს მცირე საგრანტო კონკურსის „დევნილთა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ თემთა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერება“ ფარგლებში,

- The absence of community centers, computer centers or other professional and personal development opportunities for children and young people in rural areas; and
- Lack of safety and security in the field for persons residing close to the administrative boundary lines.

The importance of activities for women's rights protection implemented by self-help groups, as mobilized, targeted and institutionally developed unities, are underlined by article 14 of the Convention on the Elimination of all forms of Discrimination against Women (CEDAW). According to the Convention, "States Parties shall take into account the particular problems faced by rural women and the significant roles which rural women play in the economic survival of their families, including their work in the non-monetized sectors of the economy... State Parties shall take all appropriate measures to eliminate discrimination against women in rural areas and to ensure to such women have the right to organize self-help groups and cooperatives in order to obtain equal access to economic opportunities through employment or self employment".
Within the Project framework, the social mobilization component implies support with small scale grants. In 2010 within the framework of the small scale grant competition "Economic and Social Development for Internally Displaced Persons and Conflict-Affected Communities", 21 self-help groups have received support for implementation of small-scale grant initiatives. After participating into the various capacity development initiatives the small-scale grant competition was announced internally for all groups. The grants awarding objectives were identified in the planning process also outlined in the specially elaborated Roadmap on Social Mobilization:

- Support the economic empowerment of IDPs and conflict-affected rural women;
- Support initiatives towards decreasing feminization of poverty;
- Enhance leadership opportunities of IDPs and conflict-affected rural women for community development.

თვითდახმარების 21-მა ჯგუფმა მიიღო მხარდაჭერა მცირე საგრანტო ინიციატივების განსახორციელებლად. რესურსების გაძლიერების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა ინიციატივებში მონაწილეობის შემდეგ გამოცხადდა მცირე გრანტების შიდა კონკურსი და მასში მონაწილეობის მიღება ყველა ჯგუფს შეეძლო. გრანტის გაცემის წინაპირობები და მიზნები თავიდანვე, დაგეგმვის პროცესში და სოციალური მობილიზაციის შესახებ სპეციალურად შემუშავებულ გზამკვლევში იქნა განსაზღვრული:

- სოფლად მაცხოვრებელი იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- სიღარიბის ფემინიზაციის შემცირებისაკენ მიმართული ინიციატივები;
- სოფლად მაცხოვრებელი იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთათვის ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერება თემის განვითარებისათვის.

უპირატესობა მიენიჭა ისეთ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებდა კოლექტიური დასახლების ან სოფლის სხვადასხვა ჯგუფებთან თანამშრომლობას. გრანტების უმრავლესობა ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით განხორციელდა. მცირე გრანტების შედეგად ჯგუფებმა განახორციელეს შემდეგი ინიციატივები:

- საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაარსება თბილისის და ქუთაისის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ცენტრებში და იმ სოფლებშიც, რომლებიც ადმინისტრაციულ პირობით სასაზღვრო ზოლებთან ახლოს მდებარეობს, კერძოდ კოკსა და ხურჩაში (სამეგრელოს რეგიონი), ტირძნისსა და პატარა გარეჯვარში (შიდა ქართლის რეგიონი);
- კოკისა და ხურჩის სოფლებში თევზსაშენის მოწყობა, რომელიც დაეხმარა ჯგუფებს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებასა და ჯგუფის ხაზინის გაზრდაში;
- ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოების გახსნა თბილისში, ქუთაისსა და სოფელ კარალეთში;
- აგრარული განვითარებისა და ქალთა ეკონომიკური გა-ძლიერებისათვის ტრაქტორის შესყიდვა შიდა ქართლის რაიონ სოფელ თერგვისში;
- მეფუტკრეობის წამოწყება სოფელ გარეჯვარში, ტირძნისსა და სკრის დევნილთა ჩასახლებაში;

Preference was given to the projects envisaging cooperation with other groups of the same collective center or village. Majority of the grants were implemented in cooperation with the local government. Small-scale grants enabled groups to implement the following initiatives:

- Establishment of educational resource centers in IDP collective centers in Tbilisi and Kutaisi and in the villages close to the administrative boundary lines, in particular in the villages of Koki and Khurcha (Samegrelo region), Tirdznisi and Patara Garejvari (Shida Kartli region);
- Setting up fisheries in the villages of Koki and Khurcha, assisting groups to launch economic activities and to increase in the group saving;
- Opening of a shoe and clothing sewing facility in Tbilisi, Kutaisi and village Karaleti;
- Purchasing a tractor in the village Tergvisi of Shida Kartli region to facilitate agricultural development and women's economic opportunities;
- Starting bee-keeping activities in the village Garejvari, Tirdznisi, and Skra IDP settlement;
- Producing/cultivating maize in the village Tirdznisi of Shida Kartli region. Production of agricultural outputs in the village Koki of Samegrelo region;
- Developing animal husbandry, in particular breeding of cows and sheep in Kutaisi, IDP settlement of Skra and Patara Garejvari;
- Opening of wood workshop in Zugdidi.

In the implementation of small-scale grants there are involved approximately 100 persons from 21 self-help groups. Each group member represents one family (this is the agreed principle of group formation). Accordingly, as a result of implemented activities, approximately 350 community members in various 19 communities, in Eastern and Western Georgia, benefitted from increased opportunities to get engaged in income generation activities and improve access to services. Self-help group members now have the opportunity to develop their skills in established educational resource centers.

- სიმინდის მოყვანა შიდა ქართლის რაიონ სოფელ ტირძნისში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება სოფელ კოკში (სამეგრელოს რეგიონი);
- მესაქონლეობის განვითარება, კერძოდ, ძროხებისა და ცხვრების მოშენება ქუთაისში, სკრის დევნილთა ჩასახლებასა და პატარა გარეჯვარში;
- ხის სახელოსნოს გახსნა ზუგდიდში.

მცირე გრანტების განხორციელებაში დაახლოებით 100 ადამიანი იყო ჩართული უშუალოდ, რომლებიც გაერთიანებულნი არიან თვითდახმარების 21 ჯგუფში. ჯგუფის თითო წევრი წარმოადგენს თითო ოჯახს (ეს არის ჯგუფის ფორმირების შეთანხმებული პრინციპი). შესაბამისად, განხორციელებული საქმიანობების შედეგად, თემის დაახლოებით 350 წევრს, 19 სხვადასხვა თემში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, გაეზარდათ შემოსავლის მომტან საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობა და მომსახურეობებზე ხელმისაწვდომობა. თვითდახმარების ჯგუფის წევრებს ახლა უკვე აქვთ შესაძლებლებლობა, განავითარონ უნარ-ჩვევები უკვე შექმნილ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. აგრეთვე, ფონდი ტასოს დახმარებით, მათ ჰქონდათ საშუალება, მიეღოთ ისეთი პროფესიული ტრენინგები, როგორებიცაა: ბიოფერმერობა, საგადასახადო კოდექსი მეწარმეებისათვის და სხვ. საჭიროა უფრო მეტი სამუშაო ჩატარდეს ამ მიმართულებით, რათა გაიზარდოს ჯგუფების შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები მათი სამომავლო საქმიანობისათვის.

თვითდახმარების ჯგუფების საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, თემის სასარგებლოდაა მიმართული. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი რესურსცენტრები, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ჯგუფების წევრთა დაუზარელი, სავსებით მოხალისეობრივი საქმიანობა ამაღლებს თვითდახმარების ჯგუფთა ავტორიტეტს, იწვევს გამოცოცხლებას, უკეთესობისკენ ცვლის და აზრს მატებს სათემო ცხოვრებას.

სათემო მობილიზაციის პროცესის წარმატებისთვის განმსაზღვრელია ურთიერთნდობა, სოლიდარობა, პასუხისმგებლობის ხარისხი, ცოდნა და საკუთარი ძალების რწმენა. თვითდახმარების ჯგუფები ძლიერდებიან და თავიანთი საქმიანობით ამტკიცებენ, რომ ისინი სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და წვლილი შეაქვთ თავიანთი თემის წინსვლასა და განვითარებაში. ქვემოთ მოცემულია თვითდახმარების ჯგუფების რამდენიმე წარმატებული საქმიანობა, რომელიც სოციალური მობილიზაციის მოდელის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელებისა და მობლიზებული ჯგუფების წარმატებული საქმიანობების ნათელი მაგალითია.

At the same time, with Taso Foundation's assistance, self-help groups were provided with the chance to participate in professional trainings, such as: bio farming, tax code for entrepreneurs, etc. More work needs to be done to strengthen the groups professional skills and capacities for their future activities.

The work of self-help groups, in the first place, has to benefit the community. Field centers furnished with computer equipment, available internet access and connection to power supply, along with fully dedicated work of group members, increases the image of self-help groups and results in reanimation of everyday life, stimulates a positive change in community life.

The success of the community mobilization process is defined by trust, solidarity, level of responsibility, knowledge and self-confidence. Self-help groups are strengthened and with their work they prove that they are valuable members of a civil society contributing to the progress and development of their communities. Below are examples of several successful activities implemented by self-help groups, which clearly demonstrate effective implementation of the social mobilization model and more importantly of the successful work carried out by mobilized groups.

# თბილისი/Tbilisi



## სასკოლო დარბაზი და ცეკვის სტუდია დევნილი ბავშვებისთვის

თბილისში, ვაშლიჯვრის ყოფილი ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობაში დღეს დევნილთა კომპაქტური ჩასახლებაა. შენობის პირველ სართულზე 1994 წლიდან მოქმედებს საბავშვო ბაღი და საშუალო სკოლა[4], რომელსაც დღემდე არ გააჩნდა დარბაზი. მისი უქონლობის გამო კი შეუძლებელი იყო მოსწავლეებისთვის რაიმე სახის ღონისძიების მოწყობა, რაც უღიმღამოსა და არასრულფასოვანს ხდიდა სასწავლო პროცესს. ჯგუფი „სათანჯო“ სწორედ ამ ჩასახლებაში შექმნილი თვითდახმარების ერთ-ერთი ჯგუფია, რომელიც 2010 წლის ივნისში ჩამოყალიბდა. იგი ხუთი დევნილი ახალგაზრდისგან შედგება, რომელთაგან სამი ქალია. ჯგუფის წევრებს დიდი ხანია უნდოდათ ბავშვებისათვის შემოქმედებით საქმიანობებში ჩასართავად სათანადო პირობების შექმნა. თუმცა სკოლასთან მანამდეც არსებობდა ცეკვის წრე, მაგრამ იატაკის არქონის გამო ბავშვები ხშირად ცივდებოდნენ და თავს არიდებდნენ მეცადინეობის გაგრძელებას. ამიტომ „სათანჯო“-ს წევრებმა მცირე საგრანტო ინიციატივად წარადგინეს სკოლის დარბაზის გაკეთება. პროექტი დაფინანსდა, რამაც განსაკუთრებით გაახარა ჯგუფის პროფესიით ქორეოგრაფი წევრები.

ახალგაზრდებს ზამთარში მოუწიათ ნახევრადღია აივნის დარბაზად გადაკეთება, მაგრამ, მიუხედავად სიცივისა და მძიმე პირობებისა, დღე და ღამ მუშაობდნენ: დაასუფთავეს სივრცე, ამოაშენეს კედელი, დააგეს იატაკი, ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები და მიიღეს 72 კვ.მ.-ის სივრცე, სადაც უმალ ჩამოაყალიბეს ცეკვის სტუდია. სტუდიაში 17 დევნილი ბავშვი – 10 გოგონა და 7 ბიჭი დადის, რომელთაგან ათს, უმწეო ოჯახის წარმომადგენლებს, უფასოდ უტარდებათ ქართული ხალხური ცეკვის

4. აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა, რომელიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია

## School Concert Hall and Dance Studio for Internally Displaced Children

There is an IDP collective center in the building of former industrial technical school of Vashlijvari in Tbilisi. Kindergarten and a secondary school have been located on the first floor of the building[5] since 1994; however, the school does not have a concert hall until now. Because of this reason the students did not have an opportunity to organize any type of event making study process dull and less valuable.

Satanjo, one of the self-help groups which was formed in this collective center in June, 2010 is comprised of five young internally displaced persons, out of which three are women. For a long time the group members have been wanting to set up working conditions that engage children in artistic activities. There has also been a dance class within the school but due to the fact that there is no floor, children have often fallen sick and have consequently skipped classes. Satanjo group members have presented a grant proposal that was to provide for the repair works of school concert hall. The project was subsequently funded, which particularly pleased members of the group who were professional choreographers.

Half of the open balcony has been turned into a hall by the young people, notwithstanding low temperatures during winter and difficult conditions. The space has been cleaned, walls built, floor laid , and refurbishment work carried out and as a result 72 square meters of space has been acquired where a dance studio has been quickly formed. The studio is now attended by 17 internally displaced children – 10 girls and 7 boys; ten of them, representatives of the fami-

5. Public school of Abkhazia №2, under the Ministry of Education and Culture of Abkhazia.

გაკვეთილები. ჯგუფის წევრები უახლოეს მომავალში მსოფლიო ხალხთა ცეკვების სწავლებასაც გეგმავენ სტუდიაში. ეს კიდევ უფრო გაზრდის მსურველთა რაოდენობასა და ჯგუფის წევრთა რეპუტაციას თემში, რომელთაც შეძლეს და ქუჩას მოსწყვიტეს ბავშვები, დააკავეს საყვარელი საქმიანობით და ხალხურ შემოქმედებას აზიარეს.

გარდა ცეკვის გაკვეთილებისა, დარბაზში უკვე სისტემატურად ტარდება სკოლის მოსწავლეთა მიერ მოწყობილი სხვადასხვა ღონისძიება, ლიტერატურული საღამოები. მათგან გამორჩეული იყო „ვაჟაობა“, რომელსაც განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. დარბაზით სარგებლობს საბავშვო ბაღიც. მისი აღსაზრდელებისთვის არაერთი ლამაზი ზეიმი გაიმართა კეთილმოწყობილ და სასიამოვნო გარემოში, რამაც უზომოდ გაახარა პატარები და დიდად კმაყოფილები დატოვა მათი აღმზრდელებიცა და მშობლებიც.

lies under poverty level, take the classes of Georgian folk dances free of charge. In the near future the group members plan to start teaching international dances as well which will further increase the number of children and improve the reputation of group members within their community; they were able to take children out of the streets, engage them in their favorite activities and introduce them to folk performance.

Besides dance classes, the hall systematically hosts various events organized by school students, including literature evenings. ‘Vazha-oba’ was of a particular interest, attended by the representatives of the Ministry of Education. The kindergarten also uses the hall a number of beautiful celebrations were organized in a furbished and pleasant environment making the little ones happy as well as their teachers and parents.

# შიდა ქართლი/Shida Kartli



## საქონლის აცრა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინით

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თერგვისში[5] ორი თვითდახმარების ჯგუფი: „თერგვისი“ და „მაგნოლია“ 2010 წლის მაისიდან აქტიურად არიან ჩაბმული თემისათვის სასარგებლო საქმიანობებში. იმავე წლის ზაფხულში დანიის ლტოლვილთა საბჭოს გორის ოფისმა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მოსახლეობას გოჭები გადასცა. მოსალოდნელი საფრთხის გამო, რადგან სოფელში პირუტყვს ავადმყოფობა უჩნდებოდა, ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს, ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა შეეძინათ, თავიანთი ძალებით აეცრათ ღორები, ხალხს დახმარებოდნენ მათ შენარჩუნებაში და ამასთან, ჯგუფის ხაზინაც გაემდიდრებინათ.

*„აცრა მე თვითონ ჩავატარე, მეხმარებოდა მეორე ჯგუფის, „მაგნოლია“-ს წევრი. ბიძა მყავს ვეტერინარი, რომელმაც მასწავლა აცრა ჩემს ხბოს რომ დასჭირდა და ახლა ვიყენებ ამ ცოდნას. ვეტერინარი რომ მოგვეწვია და აცრა ჩაეტარებინა, სულ მცირე, ორი ლარი უნდა გამოერთმია თითოზე, ჩვენ მინიმალური თანხა გამოვართვით, 50-50 თეთრი. ძალიან კმაყოფილი დარჩა სოფელი..“* (ჯგუფ „მაგნოლია“-ს ლიდერი).

## ქალთა ეკონომიკური გააქტიურება სოფელ თერგვისში

2010 წლის ოქტომბერში თვითდახმარების ჯგუფებს „თერგვისი“ და „მაგნოლია“, რომლებიც სულ ათი წევრისგან შედგება (მათ შორის რვა ქალბატონია), ჯგუფისა და თემის ეკონომიკური გაძლიერებისათვის ნახმარი ტრაქტორი შეძენის პრო-

5. რომელიც სამხრეთ ოსეთის/ცხივნალის რეგიონის, კონფლიქტის ზონიდან 4 კილომეტრში მდებარეობს

## Animal Vaccination against Plague

Two self-help groups, Tergvisi and Magnolia, of the village Tergvisi[6] in Gori Municipality have been actively involved in community benefitting activities since May, 2010. In summer of the same year, the population was provided with piglets by Gori Office of the Danish Refugee Council so that their living conditions could be improved. In the view of the possible threat to spread animal plague in the village, it was decided by the group members that relevant vaccination should be purchased in order to inoculate the pigs, assist people in preservation of animals and at the same time, increase the group treasury.

“I performed the vaccination myself while another member of the Magnolia group provided assistance. My uncle is a veterinary who had taught me how to vaccinate when I needed it for my cow and I currently use this knowledge. If we had invited the veterinary to provide relevant service, the price for each vaccination would have amounted to at least 2 GEL. We collected the minimum amount – 0.5 GEL for each vaccination. The village was very pleased.” (Leader of the Magnolia group).

## Stir up of Economic Activities of Women in Tergvisi village

In October 2010 self-help groups, Tergvisi and Magnolia, with a total of 10 members (among them 8 women) acquired the funding for purchasing a used tractor for economic strengthening of the group and the community. Groups have assisted the number of vulnerable

6. Located 4 kms away from conflict zone, South Ossetia/Tskhinvali region

ექტი დაუმტკიცდა. ჯგუფები უკვე არაერთ ოჯახს მოემსახურნენ უანგაროდ, ზამთრისთვის შეშითა და ფიჩხით მოამარაგეს და დღემდე თივის მიზიდვაში ეხმარებიან. ამას გარდა, რამდენიმე მოსახლეს, სადაც ნაკვეთები არ ირწყვება, ავზით წყალიც მიუტანეს და ხეხილი გახმობას გადაურჩინეს.

შეძენილი ტრაქტორით უსასყიდლოდ სარგებლობს სოციალურად დაუცველი სოფლის მოსახლეობა, დანარჩენ შემთხვევაში ჯგუფები ტრაქტორს აქირავებენ და ამ მხრივ ამდიდრებენ საკუთარ ხაზინას. ძირითადად ვაშლის ბაღებისა და ვენახის შეწამვლაში მეპატრონისგან საზღაურს იღებენ. ამ დროს ორივე მხარე კმაყოფილია, რადგან მეპატრონისთვის ეს თანხა შეღავათიანია, ჯგუფის წევრები კი ახერხებენ, მიღებული შემოსავლის ნაწილით ტრაქტორისტის ანაზღაურება გაისტუმრონ და ნაწილით ხაზინა გაამდიდრონ.

ტრაქტორის მეშვეობით დიდი შეღავათი ნახა ჯგუფის თითოეული წევრის ოჯახის ბიუჯეტმაც. მათ ტექნიკით შესასრულებელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ფულის გადახდა აღარ უწევთ და მნიშვნელოვნად ზოგავენ ამ სამუშაოებისთვის გასაწევ ხარჯებს.

*„ყველას უხარია ჩვენი ტრაქტორის დანახვა. ახლა უფრო მეტ სიმპათიას, მოწიწებას და მორიდებას ვგრძნობ ჩვენს მიმართ. ვატყობთ, რომ საჭირო გავხდით.“* (ჯგუფ „მაგნოლია“-ს ლიდერი)

families for free of charge providing them with firewood in winter and transporting hay. At the same time tanks of water were supplied to families whose land plots had no irrigation channels thus saving their trees.

The acquired tractor is used free of charge by the socially vulnerable population of the village; in other cases, the group rents the tractor which thus increases its treasury. Fees for chemical treatment of apple trees and vineyards were also collected by the group; both sides are happy as the fees are low for the owners and at the same time, the group can cover the salary of the tractor operator and also increase its treasury.

Each family member of the group also benefitted from using a tractor as these families did not have to pay for the expenses associated with agricultural works requiring various equipment and thus saved funds.

“*Everybody is happy to see our tractor. Now I feel there is a more positive attitude and respect towards us. We understand that we are needed” .* (Magnolia Group Leader)

## სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა

2010 წლის ნოემბერში, როცა დანიის ლტოლვილთა საბჭომ ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინსტრუმენტი სტაბილურობისთვის“ განხორციელება დაიწყო, დამსახურებული ავტორიტეტის გამო, თემმა მის მიერ შერჩეულ საინიციატივო ჯგუფში უყოყმანოდ დაასახელა თვითდახმარების ჯგუფების „თერგვისი“-სა და „მაგნოლია“-ს წევრები. ზემოხსენებული პროექტი ორი კომპონენტისგან შედგებოდა: თემის მობილიზაციის ფარგლებში სოფლის განვითარების გეგმის შედგენა და თემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კერძოდ მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ამ კომპონენტების შესასრულებლად თვითდახმარების ჯგუფებმა ღირსეული თანამშრომლობა გაუწიეს როგორც დანიის ლტოლვილთა საბჭოს, ასევე - ადგილობრივ ხელისუფლებას. პირობების მიხედვით, სოფელი ან ფინანსურად უნდა დახმარებოდა პროექტს, ან - ფიზიკური სამუშაოებით. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონში მოსახლეობას ფინანსური წვლილის გაღება გაუჭირდა, ამიტომ ფიზიკურად დასახმარებლად თემის მობილიზაცია გახდა საჭირო, რისთვისაც ჯგუფებმა დიდი სამუშაო გასწიეს.

*„მართლაც, მთელი სოფლის მოსახლეობა გამოვიდა. ზოგიერთი ოჯახიდან ორი კაციც მუშაობდა. სადაც ვერ უდგებოდა ტრაქტორი, იქ ეხმარებოდნენ გათხრაში, მიწის წაყრაც მთლიანად მოსახლეობამ შეასრულა. სამუშაოების დაჩქარებაშიც მივიღეთ მონაწილეობა. სანამ პროექტს შეათანხმებდნენ საკრებულოში, გამგეობაში განიხილავდნენ და ტენდერს გამოაცხადებდნენ, სოფელი ღელავდა, ალბათ, მოგვატყუესო. პირადად ჩავედი პროექტის მენეჯერთან, ავუხსენი მდგომარეობა, ისინი გადმოვიდნენ და ახლა ყოველ 50 მეტრში სასმელი წყალი გვაქვს.“* (ჯგუფ „მაგნოლია“-ს ლიდერი)

სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში, დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან

## Access to Drinking Water

In November, 2010, as the Danish Refugee Council started implementation of European Council funded project “Instrument for Stability”, and considering the deserved respect acquired by the members of self-help groups Tergvisi and Magnolia, the community unhesitatingly named them as the candidates for the initiative group of the project.

The above-mentioned Project was comprised of two components: the elaboration of a village development plan within the framework of community mobilization and the rehabilitation of community infrastructure, in particular, ensuring population with access to drinking water. Self-help groups cooperated on an equal level with the Danish Refugee Council, as well as the local government in the process of implementation of these components. According to the project conditions, the village needed to either assist the Project financially or through physical work. The population in the conflict affected region was unable to contribute financially to the initiative so therefore to provide physical assistance was needed for community mobilization; the groups carried out significant work.

*“Indeed, the whole village came out. There were families with two representative men working. If the tractor could not access the area of work, villagers helped with digging; they did all land strew works too. We facilitated in the speed up the work. Before Sakrebulo[7]confirmed the Project, Gamgeoba[8] discussed it among members and administration announced the tender, the village began to worry, as they thought it was all a lie. We personally went to meet the Project manager, explained the situation, they have moved and we now have access to drinking water every 50 meters”.* (Magnolia group leader)

7. Village assembly
8. Local municipality office

თანამშრომლობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თვითდახმარების ჯგუფმა „ათინათი“, რომელიც 2010 წლის მაისიდან მუშაობს; მასში ხუთი ქალია გაწევრებული. ქალებმა თავიანთი აქტიურობით კიდევ უფრო გააფართოვეს პროექტის მოქმედების არეალი მოსახლეობის სასარგებლოდ თემის მობილიზაციის საქმეში.

სოფელ ტირძნისის ერთი მონაკვეთი, სადაც ექვსი ოჯახი ცხოვრობს, თავისი რთული მდებარეობის გამო არ შედიოდა წყლის მილებით დაქსელვის დაგეგმარებაში და რომ არა „ათინათი“-ს ძალისხმევა, ამ ადამიანებისთვის სასმელი წყლის პრობლემა პრობლემად დარჩებოდა კიდევ კარგა ხანს. ისინი დაუკავშირდნენ პროექტის მენეჯერის თანაშემწეს და მოითხოვეს, გარკვეული გზები გამოენახათ ამ ოჯახების დასახმარებლად. დახმარების პროგრამის პირობის თანახმად, მცხოვრებლებს უნდა შეეტანათ წვლილი და შეესრულებინათ ფიზიკური სამუშაოები. ჯგუფის წევრებმა ითავეს გათხრითი სამუშაოების ხელმძღვანელობა, დაიყოლიეს მაცხოვრებლები, გაერთიანებულიყვნენ საერთო საქმისთვის.

*„არც მე მეგონა და სხვებიც ამბობდნენ, არ არსებობს, თქვენს უბანზე წყალს არ გააკეთებენო, მაგრამ ხმა მივაწვდინეთ, ვიაქტიურეთ და გამოვიდა. შემდეგ ონკანზე იყო დავა, უბანში ორს აყენებდნენ და სამი იყო საჭირო. გავაკეთე ხელმოწერები თავისი ასლებით, შევადგინე დოკუმენტები და მივიტანე გამგეობაში. რომ არ ვყოფილიყავი ამ თვითდახმარების ჯგუფის წევრი, ამას ვერ გავაკეთებდი. იმ ტრენინგებმა, რომლებიც პროექტის ფარგლებში ჩაგვიტარეს და თემის მობილიზებასა და დახმარებაზე იყო მიმართული, სწორედ ამ კუთხით განმავითარა. მობილიზება მართლა დიდი რამე ყოფილა და ბევრი შეუძლია, როცა საერთო საქმე კეთდება.“* (ჯგუფ „ათინათი“-ს ლიდერი)

სოფელში პრობლემა იყო სარწყავ არხებთან დაკავშირებითაც. ოჯახები, რომლებსაც არ ჰყავთ ახალგაზრდა წევრები და არ

In cooperation with the Danish Refugee Council and local self-governance, rehabilitation works for provision of drinking water were significantly facilitated by Atinati self-help group, which has been functioning since May, 2010. Its members include 5 women. With their active involvement, the women further expanded the Project scope to benefit the population in community mobilization issues.

Moreover, a portion of  Tirdznisi village is populated by six families that have  not been included in the water pipeline network plan due to their complex location; if not for Atinati's efforts, these persons would still have the  problem of accessing drinking water. The project manager was contacted and asked to find ways to assist these families. According to the Project conditions, beneficiaries had to provide their contribution and carry out physical work So the group members undertook the responsibility to lead excavation works and persuaded the inhabitants to unite for a joint goal.

*"I did not believe and others also said that there was no possibility to have a water system set up in our district; but we made our voice heard, we were active and it worked out. Then there was a dispute about the tap; two taps were being installed in the district while we needed three. I prepared a letter with signatures, collected documents and took them to Gamgeoba. If I were not a member of a self-help group, I would have been unable to do this. The training I undertook within the framework of the Project directed towards the community mobilization and assistance, developed me in this direction. Mobilization is indeed a great deal and can do a lot when there is a common task to fulfill".* (Atinati group leader)

Problems also occurred with irrigation channels for families that did not have young family members and could not perform physical activities which left them unable to clear fully filled channels along their houses. Under its own initiative, the self-help group Atinati



შეეძლოთ ფიზიკურად მუშაობა, თავიანთი კარ-მიდამოების გასწვრივ ვერ წმენდდნენ არხებს, რომლებიც მთლიანად იყო ამოვსებული. თვითდახმარების ჯგუფი „ათინათი“ თავისი ინიციატივით, ოჯახის წევრებთან ერთად, გამოვიდა გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად. ეს ინიციატივა სხვებისთვისაც მისაბაძი აღმოჩნდა. თემის წევრების აქტიური მონაწილეობით საერთო საქმე გაკეთდა: გაიწმინდა რუები და მოსახლეობამ, მათ შორის მოხუცებმაც შეძლეს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთების მორწყვა და ბაღ-ბოსტნების გადარჩენა.

organized and participated in the cleaning work together with these family members which set a good example to others. With an active involvement of community members a common business was implemented: streams were cleared and the population, including the elderly, were able to water their land plots and save kitchen gardens.

While women from the above-mentioned groups got involved in rehabilitation works four women and one man at Liakhvi self-help group were united to work together.

თუკი ზემოჩამოთვლილი ჯგუფების ქალები წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩაებნენ უკვე როგორც ორგანიზებული და შესაბამისი უნარების მქონე ადამიანები, „ლიახვი“-ს ოთხი ქალისა და ერთი მამაკაცისთვის ქვემოთ მოყვანილი აქტივობა გახდა საწინდარი, რათა 2010 წლის მაისში თვითდახმარების ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი გაერთიანება და ცოდნა, რომელიც პარალელურად შეიძინეს პროექტის ფარგლებში , დაეხმარათ მათ იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა თემის მობილიზება და სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება უნდა მოეხდინათ, რასაც წარმატებით გაართვეს თავი.

ჯგუფის წევრებმა კარდაკარ დაიარეს, შეაგროვეს ხელმოწერები და გორში ჩაიტანეს. გორის გამგებელმა შუამდგომლობა გასწია და შედეგად გაკეთდა ახალი ჭაბურღილი ტირძნისის ადმინისტრაციულ შენობასთან. *„პირადად მე, 17 წელია, ტირძნისში ვცხოვრობ გზის პირზე და აქამდე წყალი ვინმეს რომ ეთხოვა, ზოგჯერ უარი უნდა მეთქვა, რადგან არ მქონდა და ძალიან მრცხვენოდა. ახლა ოცდაათ ოჯახს გვაქვს საკუთარი ონკანი და ნებისმიერთან რომ შევიდეს ვინმე და წყალი ითხოვოს, ამაყად მიაწვდიან, ამით ხალხი ბედნიერია და ამიტომაც ამ საქმიანობას ვთვლით ჩვენს ყველაზე წარმატებულ საქმიანობად.“* (ჯგუფ „ლიახვი“-ს წევრი)

2011 წლის ივნისში შეიქმნა ჯგუფი „ამქარი“ სოფელ ტირძნისში, მისმა ხუთმა წევრმა ქალბატონმა უკვე მოასწრო მონაწილეობა ერთ-ერთი ინიციატივის განხორციელებაში, რომელიც სასმელი წყლის შემოწმებას ეხებოდა მიმდინარე წლის ზაფხულში. ტირძნისის ერთ-ერთ დიდ უბანში სასმელი წყალი დაბინძურდა, შეიტყვეს თუ არა ხალხის ჩივილი, ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ სანეპიდსადგურსა და გორის მუნიციპალიტეტს, ისინიც მაშინვე დაინტერესდნენ, აიღეს სინჯები, მოხდა წყლის დაქლორვა და გაწმენდა და ამრიგად, მოსახლეობაც გადაურჩა წყლის დაბინძურებისგან გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეს.

It is worth mentioning that such unification and knowledge, acquired within the project framework, assisted them in the decisive moment when community mobilization and organization of issues connected with drinking water was necessary; they were able to implement these successfully into their tasks.

The group members went from door to door, collected signatures and took them to Gori. Shida Kartli Gamgebeli[9] petitioned and as a result, a new well was set near the Tirdznisi administrative building. *“Personally , I have been living in Tirdznisi near the road for 17 years and in some cases I would not have been able to give water even if someone had asked for it, I was ashamed. Now 30 families have their own tap and if someone asks us for water, we can proudly provide it; people are happy and, therefore, we consider this activity as the most successful one”.* (Member of Group “Liakhvi”)

In June 2011 Group Amkari was formed in the village Tirdznisi; its members – five women had already participated in the implementation of one of the initiatives connected with examination of drinking water in Summer of 2011. The water in one of Tirdznisi districts had been contaminated and as soon as the group heard about the concerns of the population, they contacted the sanitary services and Gori municipality. They became interested in the case, took samples, carried out chlorine treatment of water and clearing; thus resulting in villagers being prevented from the potential threat connected with water contamination.

9. Local governor

## საგანმანათლებლო ცენტრი ტირძნისში

წელიწადზე მეტია, სოფელ ტირძნისში კომპიუტერული ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც ჯგუფმა „საუნჯე" ჩამოაყალიბა. თავად ჯგუფი 2010 წლის ივნისში შეიქმნა ექვსი ქალბატონის გაერთიანებით, რომლებიც ამ ხნის მანძილზე კომპიუტერულ ცენტრში უანგაროდ ემსახურებიან არა მხოლოდ ამ სოფლის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, არამედ მეზობელი სოფლებიდანაც მოსულებს. მათი საქმიანობა გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობისათვის კომპიუტერული მომსახურეობის გაწევას: წერილების ბეჭდვა, ქსეროასლების გადაღება, საჭირო დოკუმენტების მომზადება და ინტერნეტით შესაბამისი მასალის ძიება. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა კომპიუტერული კურსებიც ჩამოაყალიბა და სამთვიან სწავლებას უტარებს მსურველებს. ასეთები კი ,უმეტესად, თემის 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდები არიან. მათმა 12 წარმომადგენელმა, რომელთა შორის 10 ქალია, უკვე წარმატებით დაასრულა ცენტრში კომპიუტერის კურსები. აღსანიშნავია, რომ მათგან ერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, ორი - დევნილი, ხოლო ხუთი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც უფასოდ შეისწავლეს კომპიუტერული პროგრამები.

*„დავასაქმეთ ერთი ჩვენი მოსწავლე, იგი დევნილია, შევასწავლეთ კომპიუტერი, იგი ჩვენი ახალი წევრია. ჩვენთან იმუშავებს და ახლა თვითონ დაეხმარება სხვებს. ადამიანური თვალსაზრისით ძალიან კმაყოფილი ვარ, ვფიქრობ, რომ დიდი საქმე გაკეთდა"* - (ჯგუფ „საუნჯე"-ს ლიდერი).

კომპიუტერული კურსები გაიარა ტირძნისში არსებული თვითდახმარების ჯგუფის ოთხმა წევრმა, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი შესაძლებლობები სხვადასხვა ინიციატივის განსახორციელებლად.

ჯგუფმა „საუნჯე" ამა წლის 16 ივლისს, კომპიუტერული ცენტრის ტექნიკის გამოყენებით, ჯგუფის ლიდერის ეზოში მოაწყო საგან-

## Educational Centre in Tirdznisi

It has been more than a year since the computer center started functioning in the village Tirdznisi, established by Saunje group. The group itself was formed by 6 women serving at the computer center free of charge to socially vulnerable population in their own, as well as neighboring villages. The work of the group implies provision of computer services to the inhabitants of the villages: printing letters, making photocopies, the preparation of documents, internet search. One of the group members also instituted computer classes and provided a three-month training course to the participants, in most cases, young adults of the community aged between 18-35 years. Twelve of them (including 10 women) have already successfully undertaken computer classes in the center. It has to be noted, that among beneficiaries there is one person with disabilities, 2 – internally displaced persons and 5 – representatives of socially vulnerable families.

*"We have employed one of our students, who is an IDP; we provided her with computer skills and now she is our new member. She will*



მანათლებლო ღონისძიება და ამით თემის ახალგაზრდობის კულტურული განვითარების საქმიანობაში შეიტანეს წვლილი. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

*„საღამოს მეზობლები სერიალებს იხილავენ ხოლმე. პროტესტი გაგვიჩნდა და სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენი ჯგუფის წევრებმა მოვინდომეთ, რაღაც ღირებული ჩაგვეტარებინა. ამასთან, ახალგაზრდა თაობის ჩართულობის ხარისხი აგვემაღლებინა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. მივიღეთ გადაწყვეტილება, გალაკტიონის პოეზიის საღამო მოგვეწყო.“* (ჯგუფ „საუნჯე“-ს ლიდერი)

კომპიუტერულ ცენტრში ინტერნეტის საშუალებით მოიძიეს მასალა, ამობეჭდეს ფოტოები და მოსაწვევები, რომლებიც განსაკუთრებულად იყო გაფორმებული, მომზადდა მუსიკალური ფონი, დაიწერა სცენარი და ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა რეპეტიციები, რაშიც სათემო მუშაკიც აქტიურად ჩაება. ღონისძიებას არაერთი სხვა მხარდამჭერიც გამოუჩნდა: სცენის მოწყობა, ეზოში სკამების მოტანა თუ სხვა ფიზიკური სამუშაოები სოფლის ახალგაზრდა მამაკაცებმა ითავეს, ტირძნისის დეპუტატმა კი უეცრად წამოჭრილი შუქის პრობლემა სასწრაფოდ მოაგვარა. ღონისძიებას ბევრი სტუმარი ეწვია, ასზე მეტი ადამიანი. *„თურმე მონატრებიათ გალაკტიონი და ასეთი საღამოები. არადა, მეშინოდა, ხალხი რომ არ მოვიდეს და იმედი გაუცრუვდეთ ბავშვებს-მეთქი. კაცები ფეხზე იდგნენ, სერიალის მოყვარულებიც მოვიდნენ.“* (ჯგუფ „საუნჯე“-ს ლიდერი)

საღამოს შესახებ ხმა გავრცელდა. შესაწირი შეგროვდა ტირძნისსა და მეზობელ სოფლებშიც, რითაც, მონაწილე ბავშვების თხოვნით, „საუნჯე“-ს წევრებმა ხატი შეიძინეს და ეკლესიას გადასცეს.

ღონისძიებას იმდენად დიდი და პოზიტიური გამოხმაურება ჰქონდა, რომ ჯგუფმა გადაწყვიტა კიდევ არაერთხელ მოაწყოს მსგავსი რამ სოფლის ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობით.

*work with us and also assist others. From a human point of view, I am very pleased; I believe that this is a significant achievement.”* – (Saunje group leader).

Four members of self help group of Tirdznisi undertook computer courses significantly increasing their skills in implementation of various initiatives.

On July 16 of this year, group Saunje organized an educational event in the yard of the group leader using equipment of the computer center and thus contributing to cultural development of the community youth. It started because:

*“In the evenings neighbors were discussing ‘soap operas’. We were against this fact and the negative attitude of group members resulted in our intention to plan something valuable. At the same time, we aimed to raise the level of involvement of the young generation in the development of a civil society. We decided to organize a poetic evening in honor of Galaktioni”.* (Saunje group leader)

Information was collected and prepared using the internet in the computer center, photos and decorated invitations were printed, music was selected and scenarios developed; rehearsals were performed over a two week period and the event involved community workers as well. The event attracted a number of supporters: young men undertook the responsibility to set up the stage, organize chairs and to do physical work while a local government representative from Tirdznisi immediately settled the problem associated with the electricity supply. The event was attended by a large number of guests, more than 100 people. *“Apparently people have missed Galaktioni and other evenings of this type. I was afraid that people would not come and disappoint children. Men were standing, even ‘the soap opera lovers’ attended”.* (Saunje group leader)

## თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან

თვითდახმარების ჯგუფებმა თავიანთი გამორჩეული აქტიურობით თემის მობილიზაციის საქმიანობებში მიაღწიეს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრიდან უკვე აღიქმებიან როგორც საიმედო პარტნიორები, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში, თუკი ეს თემის საკეთილდღეოდ იქნება მიმართული. ამჯერადაც, როცა ტირძნისის მაჟორიტარ დეპუტატს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შეატყობინა, რომ სასწრაფოდ უნდა აღწერილიყო სოფლის ბიბლიოთეკა, რადგან იგი სკოლის ბიბლიოთეკას უნდა შერწყმოდა, მან მაშინვე თვითდახმარების ჯგუფებს მიმართა. ჯგუფების „საუნჯე“, „ლიახვი“ და „თერგვისი“ წევრებმა ეს მოსახლეობისთვის სასარგებლო სიახლედ მიიჩნიეს, რის შედეგადაც უფრო მეტი ლიტერატურა იქნებოდა ხელმისაწვდომი ბავშვებისთვისაც და ნებისმიერი სხვა მკითხველისთვისაც. ამიტომ დაუყონებლივ შეუდგნენ საქმეს, 4-5 დღის განმავლობაში მუშაობდნენ მონაცვლეობით დილიდან საღამომდე, გადაარჩიეს და გაასუფთავეს რვა ათასზე მეტი დამტვერილი წიგნი. ჯგუფის „საუნჯე“კომპიუტერულ ცენტრში, ხაზინის დანაზოგებისა და საჩუქრად მიღებული ქაღალდის გამოყენებით, გააკეთეს წიგნების აღწერა 300 გვერდამდე ქსეროასლის საშუალებით. შეადგინეს სიები და ამონაწერი და საკრებულოს გადასცეს, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

Information about the evening was widely spread and donations were collected in Tirdznisi and neighboring villages; per request of participating children, group Saunje used these funds to purchase an icon and give as a donation to the church.

Considering the extent and number of positive feedback about the event, the group decided to  arrange futher, similar events engaging village youth.

## Cooperation with Local Self-Government

Through their distinctively active role in the activities targeted towards community mobilization, self-help groups gained the status of reliable partners in the view of the representatives of local self-government; the self-help group members are considered to be ready to participate in the solution of any issue if the issue is aimed at benefitting the community. When Gori Municipality Gamgebeli informed Tirdznisi majoritarian the member of the Parliament on the necessity of books stock taking at the village library as it had to merge with the school library, he addressed the members of self-help group. Group members Saunje, Liakhvi and Tergvisi, considered this initiative as a benefit to the population and as a result of this initiative, more literature has become available to children as well as to other readers.  Thus, they immediately started to work on stocktaking by substituting each other in the course of 4-5 days. The group members sorted and cleaned more than eight thousand dusty books. Using group funds and donated paper, an index of books was developed at the computer center of group Saunje where approximately 300 pages of photocopies were made. Prepared lists and protocol was passed to Sakrebulo and this effort further strengthened cooperation between the groups and local government.

## სასაზღვრო სოფლების მოხუცთა დახმარება

თვითდახმარების ჯგუფმა „ხელმარჯვე ქალები“, რომელიც 2010 წლის ივნისში ხუთი ქალბატონის გაერთიანებით შეიქმნა, სულ მალე ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც დიდი შემართებით არის ჩართული მათ სხვადასხვა საქმიანობაში. ჯგუფის წევრები მიმდინარე წლის ზაფხულში ახალგაზრდებთან ერთად ესტუმრნენ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის, კონფლიქტური ზონის მიმდებარე სოფლებს, კოშკასა და გუგუთიანთკარს[6], სადაც უმეტესად მოხუცები არიან დარჩენილები. ჯგუფის წევრებმა მოინახულეს სოფელში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანები და მოსავლის აღებაში დახმარებაც შესთავაზეს. მოხუცებისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, თავიდან დაჯერებაც გაუჭირდათ, მაგრამ ჯგუფის წევრებმა, ახალგაზრდებთან ერთად, დანაპირები მალე სისრულეში მოიყვანეს. ჯერ ასაკოვანი ცოლ-ქმრის ერთ ოჯახს მოაკრეფინეს ხილი, შემდეგ მეორეს ააღებინეს ლობიოს მოსავალი. კმაყოფილი მოხუცები კიდევ სთხოვდნენ დარჩენას, თავიანთ საცხოვრებლებს სთავაზობდნენ სტუმრებს და მადლიერებით აღსავსენი ხმას ავრცელებდნენ მათი კეთილი საქმეების შესახებ. ამან ჯგუფი და მათი ახალგაზრდა ენთუზიასტები კიდევ უფრო წაახალისა შემდგომი ვიზიტების მოსაწყობად. მათი თქმით, სწავლის დაწყებაც ვერ შეუშლით ხელს და ყოველი კვირის ბოლოს კვლავ ესტუმრებიან საზღვრისპირა სოფლების მოხუცებს.

6. აღნიშნული სოფლები ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის/ცხივნალის რეგიონის კონფლიქტური ზონის სოფლებს. სოფელი გუგუტიანთკარი გაყოფილია ორად, სოფლის ნაწილი დარჩენილია საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც 2008 წლის ომის დროს შვიდი ოჯახის სახლი დაიწვა, ამჟამად ეს ოჯახები, დროებით, გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ცხოვრობენ.

## Assisting Elderly in the Villages Adjacent to the Administrative Boundary Line

The self-help group ‘Skilful Women’ was set up in June 2010 by five women and soon formed a voluntary group comprising of young persons who engaged in various activities with great enthusiasm. In the summer of this year, group members along with youngsters visited villages of Koshka and GugutiantKari, located along the lines of the conflict zone, South Ossetia/Tskhinvali region[10], which is currently populated mainly by the elderly. Group members met with elderly persons living in the villages and offered assistance in harvesting. This was so unexpected, that it was difficult for them to believe; however, the group members, together with young volunteers, soon fulfilled their promises. At first, they assisted an elderly wife and husband in picking fruit, and then another family with harvesting beans. Happy elders were asking their guests to stay offering them accommodation and at the same time they also spread word about their activities. They gained further experience which was encouraged the group and its young volunteers to organize more visits. According to them, even the start  of school will not impede them from visiting the elderly of border villages at the end of every week.



10. Noted villages border the villages in the conflict zone of South Ossetia/Tskhinvali region. Village Gugutiantkari is divided in two, part of the village is located on the territory beyond Georgian control; houses of seven families residing in the village were burnt down during 2008 war and currently these families live in one of the kindergartens in Gori.

# ქვემო ქართლი/Kvemo Kartli



# ბიომეურნეობა წინწყაროში

ჯგუფში, რომელიც 2011 წლის მარტში შეიქმნა, შვიდი ქალია, შვიდივე კოდორის ხეობიდან „ორმაგი“დევნილია[7]. 2009 წელს სოფელ წინწყაროში ჩამოსახლებულებს, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, რაც ცხოვრების მესამეჯერ ახლიდან დაწყებას ახლდა, უწყლობის უდიდესი პრობლემაც დახვდათ. ჯგუფის წევრებმა ადგილობრივ თვითმართველობასაც მიმართეს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვნენ ამ საქმეში და სასმელი წყლის პრობლემა ნაწილობრივ მოუგვარდათ, თუმცა სარწყავი წყალი, მერამდენე წელია, ისევ პრობლემად რჩება. სწორედ ამიტომაც, როცა ტრენინგი მოისმინეს ბიომეურნეობასა და წვეთოვანი მორწყვის ეფექტიანობაზე, რაც სარწყავი წყლის დეფიციტის პირობებშიც შეიძლება იყოს მიღწეული, მაშინვე გადაწყვიტეს, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მათი მწირი მეურნეობების საშველად.

შეიმუშავეს პროექტი „ბიომეურნეობა სოფლის პირობებში“, რომელიც ფონდი ტასო-ს მიერ 2011 წელს დაფინანსდა ინსტიტუციონალური განვითარების გრანტის ფარგლებში[8]. იმის გამო, რომ მათ საერთო მიწის ნაკვეთი არ გააჩნდათ, ერთ-ერთი წევრის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყენება დააპირეს, რომელმაც მეზობელიც დააინტერესა. მან კი უყოყმანოდ დათმო საკუთარი მიწის ნაწილი და ჯგუფის წევრიც გახდა. ნაკვეთების გაერთიანებით მიიღეს 900 კვ. მეტრი მიწის ფართობი, რომელიც მაშინვე ვერ გამოიყენეს, რადგან მასზე უკვე დათესილი სიმინდის აღებას უნდა დალოდებოდნენ. თუმცა, ამასობაში დრო უქმად არ დაუკარგავთ, იქირავეს მანქანა, შეიძინეს წყლის ავზი, წყლის საქაჩი ძრავი, წვეთოვანი მოწყობილობა, ბადეები და მოაწყეს სათბური, რომელშიც, კონსულტანტის დახმარებით, შერჩეული კომბოსტოს თესლი ჩათესეს.

7. 90-იანი წლების შემდეგ, თავდაპირველად აფხაზეთიდან, ხოლო შემდეგ 2009 წელს კოდორის ხეობიდან დევნილები
8. აღნიშნული გრანტი დაფინანსებულია ღია საზოგადოების ფონდების მიერ (OSF)

# Bio-Farming in Tsintskaro

This group was created in March of 2011 and is comprised of seven women from Kodori Gorge who have been displaced twice[11]. Along with a number of problems associated with starting a new life for the third time the people who settled in Tsintskaro village in 2009 encountered a significant problem of water shortage. Local self-government was addressed concerning this and international organizations also got involved in this case and the problem of drinking water was partially solved. However, water irrigation was still a problem for many years to follow. For this reason, after undergoing training on effectiveness of bio-farming and drop-size irrigation, achievable even in case of deficit of irrigational water, they immediately decided that this was the best solution to save their poor farms. The group developed the project 'Bio Farming' in the village, which was funded by Taso Foundation in 2011 within the framework of the institutional development grant[12]. As they did not possess a common land plot, it was decided that they use the plot owned by one of the members and the undertaking also got the neighbor's interest. The neighbor then provided the land plot without hesitation and became a group member. Unified land plots amounted to 900 sq.m of space; however, the land was not suitable for immediate use as they had to wait to harvest the maize that had been planted on it. Meanwhile, they did not waste any time, rented a car, purchased water tank, water pump, drop irrigation equipment and nets and set up seedling nursery, where they planted cabbage seeds per consultant's advice.

At the end of August, after clearing the plot from corn, the land was treated appropriately; traces were set which were enriched with chemicals and prepared for seedlings.

11. First displaced from Abkhazia after 1990s and later from Kodori Gorge in 2009.
12. Noted grant is funded by Open Society Foundations (OSF)

აგვისტოს ბოლოს კი, როცა ნაკვეთი სიმინდისგან გაათავისუფლეს, მიწა შესაბამისი წესით ახლიდან დაამუშავეს, კვლები გააკეთეს, ბიოსასუქით გაამდიდრეს და ჩითილის გადასარგავად მზადყოფნაში მოიყვანეს.

*„სახალისოა ერთად მუშაობა, ერთი კვირის განმავლობაში მთელი ჯგუფი თავაუღებლად ვშრომობდით, რომ უშველებელი ბელტები დაგვეშალა, მაგრამ ისე დავამუშავეთ სიცილ-სიცილში და ხუმრობაში, ვერც გავიგეთ.“* (ჯგუფი „კოდორი“-ს ლიდერი)

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჯგუფის აქტიურმა ქალებმა შეძლეს და ერთიანი შრომით თემში სასარგებლო სიახლე შეიტანეს, პოზიტიური განწყობა შეუქმნეს თანასოფლელებს: *„ახლა ყველა უყურებს, ჩვენ რა გამოგვივა, შევხედავთ თქვენთან და მერე ჩვენც ასე გავაკეთებთო. ჩვენი მეურნეობისთვის წყლის პრობლემა მოგვარდება, მაგრამ თემისთვის ხომ რჩება, ამიტომ გაივლიან თუ გამოივლიან, ყველა გვეკითხება, როგორ არის საქმეო.“* (ჯგუფი „კოდორი“-ს წევრი)

პირველი მოსავლის შემდეგ ჯგუფის წევრები, მათივე თქმით, *„არ აპირებენ, მიწა გააჩერონ“*, კომბოსტოს აიღებენ და ნიორი უნდა დათესონ, შემდეგ ისევ კომბოსტო, გაზაფხულზე – კიტრი და პომიდორი. მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილით კვლავ მეურნეობის გაფართოებას გეგმავენ, მაგრამ არც გაჭირვებულებს ივიწყებენ. *„ვაპირებთ, თუ კომბოსტო მოგვივიდა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს დავურიგოთ. იმიტომაც გვინდა, რომ ეს საქმე გამოგვივიდეს, ჩვენც გვეშველება და სხვასაც დავეხმარებით.“* (ჯგუფი „კოდორი“-ს ლიდერი).

*“It is fun to work together. For one week, the whole group was working restlessly to eliminate clods; laughing and joking we finished plot treatment not even realizing this”.* (Kodori group leader).

The most important thing is that with joint work of enthusiastic women they were able to bring about beneficial novelty in a common community and create a positive attitude among their villagers: *“Now everybody is watching how it will work out, what it will turn into and then do the same. Our farm will overcome the problem of water, but it is for our community. When passing by, everyone asks how the things are going.”* (Kodori group member).

After the first harvest, the group members stated that they were not going to leave the land unused. They intend to harvest the cabbage and sow garlic, next they intend to sow cabbage again, in spring – cucumbers and tomatoes. It is planned to use a large portion of income to expand the farm; the group will also not forget vulnerable people too. “*If there is a harvest of cabbage, we will distribute it to socially vulnerable families. This is why we want to succeed; we will benefit and at the same time, assist others too.”* (Kodori group leader)

# იმერეთი/Imereti



## მესაქონლეობა ქუთაისში

თვითდახმარების ჯგუფი „სოფლის ნობათი“ 2010 წლის მაისში შეიქმნა ქუთაისში და ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს ამ რეგიონში, იგი 10 დევნილისაგან შედგება, რომელთაგან ცხრა – ქალია. ჯგუფის წევრები კომპაქტურ ჩასახლებაში, საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში, ცხოვრობენ. საკუთარი ოჯახებისა და ირგვლივმყოფთა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა ისეთი საქმიანობა წამოეწყოთ, რაც ჯგუფის თითოეული წევრისთვისაც იქნებოდა შემოსავლის მომტანი და თემისთვისაც - სასარგებლო. ასეთად მათ საქონლის შესყიდვა და მერძევეობა მიიჩნიეს. პროექტი დაფინანსდა და ჯგუფს საშუალება მიეცა, შეეძინა სამი მეწველი ძროხა, საკვები და ინვენტარი. შემდეგ ათივე წევრმა ფუნქციები გადაინაწილა, დააწესეს მორიგეობა საქონლის მოსავლელად და შეთანხმებული შრომითა და ერთმანეთის თანადგომით საქმეც წარმატებით წავიდა. მალე საქონლის სულადობა გამრავლდა, ორი ხბო შეემატათ და ჯგუფმა შეძლო უფრო მეტი რძის რეალიზაცია დევნილთა დასახლებაში და მის ფარგლებს გარეთაც. ამჟამად ხუთი სული საქონელი ჰყავთ, ამდენად ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ ყოველდღიური შემოსავალი, რომლის ნაწილიც ჯგუფის ხაზინაში შედის. ეს კი საშუალებას აძლევს მათ, ხელი გაუმართონ თემის სოციალურად დაუცველ ღარიბ ოჯახებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია მწოლიარე დევნილი, რომელიც კომპაქტური ცენტრის შენობის პირველ სართულზე ცხოვრობს, მას რძითა და საკვებით ამარაგებენ. როგორც ჯგუფის ლიდერი ამბობს, არა მარტო ჯგუფის წევრები, მთელი თემი კმაყოფილია მათი საქმიანობით, რასაც პროექტის დასრულების შემდეგაც აუცილებლად გააგრძელებენ.

## Animal breeding in Kutaisi

Self- help group Soplis Nobati was formed in May of 2010 in Kutaisi and has the highest number of members in this region – 10 IDPs including 9 women. Group members live in a collective center which is the former building of the kindergarten. Considering harsh economic conditions of their own families and people surrounding them, the decision was made to start an activity that would bring income to each member of the group and, at the same time, benefit the community. Animal breeding and production of dairy products was deemed to be such an initiative. The Project was funded and the group was provided with an opportunity to purchase three milking cows, food and inventory. Afterwards, all ten members divided functions among each other, developed a schedule for looking after animals and with synchronized work and each other's support, the work progressed successfully. Soon the number of animals increased, two calves were added and the group was able to sell more milk within IDP settlement and outside its boundaries. At the present moment they have five animals. Thus the source of everyday income was created for the group members part of which goes to the group treasury. This enables the self help group to assist socially vulnerable families. For example, they are supplying a bed-patient living on the first floor of the compact settlement with milk and food. According to the group leader, not only the group members, but the whole community is pleased with the work, which will be continued after the end of the Project too.

# სამეგრელო/Samegrelo



## სამშვიდობო კონფერენცია ანაკლიაში

2011 წლის 5 მაისს სამეგრელოს რაიონის სოფელ ანაკლიაში სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა. მისი ჩატარების იდეა თვითდახმარების ჯგუფების ლიდერებსა და სათემო მუშაკებს ეკუთვნით. კონფერენციის მიზანი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის ქალებზე, მშვიდობასა და უს-აფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის რეკომენდა-ციების შემუშავება და შემდგომ ეროვნული სამუშაო ჯგუფისათ-ვის გაზიარება.

*„ვმსჯელობდით, რა გავაკეთოთ ისეთი, რაც ამ ადამიანებს გააგებინებს, რომ ეხლა აქვთ დრო, მიიღონ მონაწილეობა ეროვნული გეგმის შემუშავებაში, რომლის განხორციელებაც შემდგომში მათ ცხოვრებაზეც უშუალო გავლენას მოახდენს. მოვიფიქრეთ, გავაკეთოთ კონფერენცია, სადაც თითოეული ჯგუფის წევრი უნდა გამოსულიყო მოხსენებით, ზოგი რეზო-ლუციის შინაარსზე, ზოგიც – სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე.“* (სათემო მუშაკი სამეგრელოში)

კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა თითო-ეული ჯგუფის მიერ. შიდა კრებებზე ეცნობოდნენ რეზოლუციე-ბის შესახებ მასალებს, აყალიბებდნენ თავიანთ მოსაზრე-ბებს, რომელთა შეჯერების შედეგადაც ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის რეკომენდაციები შეიმუშავეს და კონფერენციაზე წარმოადგინეს.

კონფერენციაში ხუთი თვითდახმარების ჯგუფი მონაწილეობდა:

- ჯგუფი „პროგრესი“ – 2010 წლის ოქტომბერში შეიქმნა ანაკ-ლიაში. იგი ექვსი წევრი ქალისგან შედგება, რომელთაგან ორი დევნილია.
- ჯგუფი „ნეფა“ – 2010 წლის სექტემბერში შეიქმნა სოფ. კახა-

## Peace Conference in Anaklia

A Peace conference took place in the village of Anaklia, Samegrelo on May 5, 2011 and the idea of holding such a conference belongs to self-help group of leaders and community workers. The idea of the conference was to develop recommendations of National Action Plan of United Nations Security Council Resolution 1325 on Women, Peace and Security and later on to share it among the group members of national work group.

"*We discussed what to do to make these people understand that now they have time to participate in the development of National Action Plan. Participation was important as the plan's development would have had a direct effect on their lives. We wanted to arrange a conference where each group member would talk on the content of resolution and also to share the experience of other countries*". (Community worker in Samegrelo region)

The preparatory works of the conference were implemented by each group. At internal sessions the members got familiar with the content of resolution and developed their own personal suggestions. After the participants reviewed various ideas and suggestions among themselves, the recommendations were presented at the conference later on.  Five self help groups participated in this conference:

- Group Progress – established in October, 2010 in Anaklia. The Group consists of six women members, out of which two are IDPs.
- Group Nepa – established in September, 2010 in the village Kakhati in a IDP collective center. The group combines five members – four women and one man. Three of them are IDPs.
- Group Anaklia – group work started in March, 2011 in Anaklia.

თის დევნილთა დასახლებაში. იგი ხუთ წევრს აერთიანებს, ოთხ ქალსა და ერთ მამაკაცს, მათ შორის სამი დევნილია.

- ჯგუფი „ანაკლია" – 2011 წლის მარტიდან მუშაობს ანაკლიაში. მისი ხუთი წევრიდან ოთხი ქალია და ერთი მამაკაცი.
- ჯგუფი „თოლია" – შეიქმნა 2011 წლის მარტში, ხუთი წევრიდან ოთხი ქალია, ხოლო მათგან სამი - დევნილის სტატუსის მქონე;
- ჯგუფი „ფენიქსი" – შეიქმნა 2010 წლის ივნისში ქ. ზუგდიდში, აერთიანებს სამ ქალსა და სამ მამაკაცს.

პრეზენტაციები გაკეთდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციასა და სხვა ქვეყნების ეროვნულ გეგმებზე, წარმოადგინეს, აგრეთვე, საკუთარი რეკომენდაციები ეროვნული სამოქმედო გეგმისათვის. გაიმართა საინტერესო დისკუსია. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელნიც გააცნეს რეზოლუციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფს:

- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების[9] შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და რეზოლუციებთან დაკავშირებული თემების პოპულარიზება მედიასაშუალებების გამოყენებით;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლიციების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგში სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლისაკენ, რათა შეიცვალოს ტრადიციული შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა უფლებებზე; გენდერულ საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა საშუალო სკოლებში; გენდერული თანასწორობის რესურსცენტრების შექმნა საქართველოს მასშტაბით;
- ქალთა ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების

9. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 1325, 1820, 1888, 1889 და 1960

Out of group's five members four are women and one man.

- Group Tolia – established in March, 2011. Out of five members four are women and three of them have IDP status.
- Group Phoenix – established in June, 2010 in Zugdidi and it incorporates three women and three men.

The presentations were delivered on the UN Security Council resolution 1325 and National Plans of other countries. Speakers also set out their recommendations for National Action Plan (NAP) on UN SCR 1325 and an interesting discussion followed where group members developed recommendations that they shared with the national working group on National Action Plan on UN SCR 1325. The recommendations included:

- Informing the population on the UN Security Council resolutions[13] and promote the topics related to resolution through the use of mass media;
- Ensuring active participation of civil society in the monitoring over implementation of UN SCR National Action Plan;
- Carrying out educational and preventive activities directed towards the change of society's consciousness in relation to traditional views on gender equality and women's rights; introducing educational programs on gender issues at secondary schools; establishing a gender equality resource center throughout the country;
- Increasing women's involvement at decision making level; support strengthening women's involvement in political life; cooperating actively with political parties; increasing the number of women in the bodies of local governance;
- Providing education to the security sector and military services on gender equality and on issues related to UN SCRs;

13. UN Security Council Resolutions 1325, 1820, 1888, 1889 and 1960

დონეზე; ქალთა ხელშეწყობა-გაძლიერება პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობისთვის; პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა რაოდენობის გაზრდა;
- უსაფრთხოების სექტორისა და სამხედრო მოსამსახურეთა განათლება გენდერული თანასწორობის და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ბავშვების და ქალების უსაფრთხოებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაზრდა. მოსალოდნელი კონფლიქტისას ქალების და ბავშვების დროული ევაკუაციისა და თავდაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა (ბუნკერების, თავშესაფრების მოწყობა) და კანონით რეგულირება;
- კონფლიქტის დროს ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება და მათი დასჯის მექანიზმის ამუშავება;
- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის სპეციალური ჯანმრთელობის დაცვის და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების უზრუნველყოფა; ბიუჯეტის შედგენისას ქალთა საჭიროებების გათვალისწინება;
- სამოქალაქო საზოგადოების მომზადება სამშვიდობო პროცესებში ქალთა ჩართულობის გასაზრდელად; ქალთა ჩართვა სამშვიდობო მისიებსა და სახალხო დიპლომატიაში;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- წარმატებული ქალების ცხოვრების პოპულარიზება (შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ.)

კონფერენციამ, მართლაც, უდიდესი როლი შეასრულა მონაწილე ქალების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის გააზრებასა და მისი სამოქმედო გეგმისთვის რეკომენდაციების შემუშავებაში, ჩართულობის თვალსაზრისით, თუმცა, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მათი თვითშეფასების გაზრდისა და საკუთარი წვლილის გაცნობიერების კუთხითაც.

- Increasing state's responsibility on security of women and children; ensuring timely evacuation and protection mechanisms (such as underground shelters, bunkers) for women and children;
- Providing a timely reaction and punishment mechanisms on the facts of women's and children's rights violations during the conflicts;
- Ensuring development of special healthcare and psycho-social rehabilitation programs for the conflict-affected women; considering the needs of women in the budget planning;
- Preparing a civil society for the increase of women's involvement in the peace process; involving women in peace missions and people to people diplomacy;
- Increasing women's access to information and economic strengthening;
- Promoting the lives of successful women (throughout meetings, conferences etc.)

The conference indeed played a significant role in raising awareness on the UN Security Council Resolution 1325 and developing recommendations for its action plan in an inclusive way, however the conference was equally important to increase self-esteem of women and to understand the significance of their contribution in the NAP elaboration process. As the majority of these women pointed out, never had anyone asked for their opinion in the process of decision making and policy development. This was for the first time, that they were able to propose their own advice and recommendations to entities involved in the policy development process. Realizing the sense of responsibility and wishing to represent themselves in a relevant and dignified way, the women were afraid to express themselves by using their simple language. It should be noted that these women have firsthand experience the bitterness of war

როგორც უმრავლესობა ამ ქალებისა მიუთითებდა, მათთვის აქამდე აზრი არ უკითხვათ გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ეს იყო მათთვის პირველი შემთხვევა, როდესაც საშუალება მიეცათ, თავიანთი რჩევები და რეკომენდაციები მიეწოდებინათ უწყებებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ასეთი დიდი პასუხისმგებლობისა და ღირსეულად წარმოჩენის სურვილის გამო, შიშობდნენ კიდეც, თავიანთი უბრალო ენით გამოხატეს თუ არა სათქმელი ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ადამიანებმა, საკუთარ თავზე გამოსცადეს ომი და ომითა და გადაადგილებით გამოწვეული სიმწარე. ეს მოსაზრებები მათი ცხოვრებისეული გამოცდილებით არის ნაკარნახევი და ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია.

*„ქალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობის საქმეში, მე შემიძლია გავიხსენო კონფერენციაში მონაწილე ერთ-ერთი ქალბატონის სიტყვები – მე არასოდეს არ ვიქნები ომის მსურველი, რადგან იმ ომში უნდა წავიდეს ის მამაკაცი, რომლის გამოც მე მინდა ვიყო ქალი და ვცხოვრობდე მშვიდადო“* - (სათემო მუშაკი სამეგრელოში).

## უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის

სოფელი ორსანტია ენგურის პირასაა, ენგურს გადაღმა კი გალის რაიონის სოფელი ოტობაიაა, აფხაზეთში. ორსანტიის ზოგიერთი მოსახლე ძალიან ახლოს ცხოვრობს მდინარესთან, ამასთან, სანაპიროსთან არის გაშენებული ხილის ბაღებიც, საყანე მიწის ნაკვეთები, ტბორები, რაც მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყაროა. ზაფხულობით, როცა მყინვარი დნობას იწყებს, ენგური დიდდება და განუზომელ ზიანს აყენებს სოფელს. როგორც იქაურები ამბობენ, უკვე ჰექტრობით მიწის

and conflict-related displacement. The following views have been produced through the narrative of women's personal life experience and therefore these views are significant.

*"The women shall participate in the peace building process. I would like to remember the words of one woman who was a social worker from Samegrelo and who participated in the conference. She said that she would never wish to witness any war, because war should be fought by the same man for the sake of whom that woman wants to be a woman and to live peacefully".* (Community worker in Samegrelo region)

## Safe Living Place for Population who have suffered as a result of Conflict

Village Osantia is located next to river Enguri. On the other side of Enguri is the villages Otobaia which belongs to Gali Region of Abkhazia. Some residents of the village live very close to the river banks and own fruit gardens, cornfields and pools along the embankment which represent their key source of revenue. In the summer because of glaciers meltdown, the Enguri river's water lever increases which causes massive damage to the village. As locals say, several hectares of land plots had been swept away by the river. Despite the population's numerous appeals to the local administration to carry out shore protection activities to resolve the problem, nothing has yet been done. The Gulaia district, one of parts of village Orsantia is especially damaged in the course of Enguri's inundations. The residents of this village had appealed to local municipality back in September, 2008. The municipality representative visited and examined the site and promised to carry out repair works but the promise merely remained a promise and the pattern repeated in other cases. Therefore the community lost

ნაკვეთები აქვს წაღებული მდინარეს. მიუხედავად მოსახლეობის არაერთი მიმართვისა ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, ნაპირსამაგრი ჯებირები, რაც პრობლემას გადაჭრიდა, ჯერაც არ არის გაკეთებული. ორსანტიის ერთ-ერთ უბანს, რომელსაც გულაიების უბანს ეძახიან, ადიდებული ენგური ყველაზე მეტ ზარალს აყენებს. სწორედ ამ უბნის მაცხოვრებლებმა მიმართეს, ჯერ კიდევ, 2008 წლის სექტემბერში ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, საიდანაც მივიდა კიდეც წარმომადგენელი, დაათვალიერა, გაკეთებას დაჰპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ასე იყო დანარჩენ შემთხვევებშიც. ამიტომ ხალხს იმედი გადაეწურა და უმწეოდ უყურებდა, როგორ მიჰქონდა მდინარეს მიწის ნაკვეთები. კიდევ ერთი, რაც აღელვებდათ იქაურებს: *„აქეთ იწევს მდინარე და ის მიწები ემატება იმ ოკუპირებულ ტერიტორიას. რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა.“*

თვითდახმარების ჯგუფი „ეგრისი“ 2011 წლის იანვარში შეიქმნა სოფელ ორსანტიაში და სამ დევნილ ქალბატონს და ორ ახალგაზრდა მამაკაცს აერთიანებს. ჯგუფმა პროექტის იურისტის დახმარებით დაწერა ახალი განცხადება 2011 წლის აპრილში. ამით ხელმეორედ მიმართა ჯერ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, შემდეგ კი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. რეაგირებამაც არ დააყოვნა, რამდენიმე დღეში ფოსტით მიიღეს პასუხი მინისტრის პირველი მოადგილის ხელმოწერით, სადაც აღნიშნულია, რომ განიხილეს სოფელ ორსანტიაში არსებული უდიდესი პრობლემა და 2012 წლის გაზაფხულზე დეტალურად შეაფასებენ სიტუაციას (თუ რამდენი ჯებირია გასაკეთებელი, რა ხარჯები იქნება საჭირო და ა. შ.) იმისათვის, რომ გამოიყოს შესაბამისი სახსრები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

*„ეს რომ ავუხსენით ადგილობრივ მოსახლეობას, 2012-ში ჩვენი საკითხი განიხილება და გადაწყდებაო, მას შემდეგ იმედის თვალით უყურებს ყველა ჩვენს ჯგუფს, რაც დიდ წარმატებად მიმაჩნია.“* (ჯგუფ „ეგრისი“-ს წევრი)

its hope and seemed helpless when they witnessed how the river was taking away their land plots. The other issue that also bothers the locals is the fact that *“the river that moved in the direction of the village taking away its territory and increasing the size of occupied territories, and this fact still presents a concern for locals”.*

Self-help group Egrisi was established in the village of Orsantia in 2011. The group consists of three internally displaced women and two young men. Through the assistance of project lawyer the group managed to prepare a new letter in April, 2011 and applied for assistance first to the local municipality and later on to the Ministry of Regional Development and Infrastructure with the request for new coast-protecting dam installations across the Enguri River in Orsantia village. The response did not take too long too. A letter signed by the Minister’s First Deputy was received in several days later by mail. It said that the problem of Orsantia village was reviewed and an assessment mission would be carried out in Spring, 2012 (as to how many dams are necessary to erect and to predict the cost of expenditure.) to decide allocation of respective funds for resolving the above mentioned problem.

“So, we explained to the local population that our problem will be reviewed in 2012 and resolved. Since then the population looks at our group with a hope and for that I consider it a big success.” (Egrisi group member)

## თემის განვითარების რესურსცენტრი სოფელ კოკში

თვითდახმარების ჯგუფი „ენგური“ 2010 წლის ივნისში შეიქმნა და ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან სამი ქალია და ორი მამაკაცი. მათი შესამჩნევი აქტიურობის შედეგად, მცირე გრანტების ფარგლებში, სოფელ კოკში თემის განვითარების რესურსცენტრი შეიქმნა. ამ ცენტრს უკავშირდება ჯგუფის შემდგომი ყველა წარმატებული საქმიანობაც.

აღსანიშნავია, რომ თვითდახმარების ჯგუფსა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, რესურსცენტრის ოფისისთვის უსასყიდლოდ გამოიყო შესაბამისი ოთახი ადმინისტრაციულ შენობაში ჯგუფის შემდგომი მუშაობისათვის. ასეთი სიახლოვე კი ხელს უწყობს ჯგუფის წევრებს, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეთ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულსა თუ სპეციალისტებთან. ისინი ერთად განიხილავენ თემის საჭირბოროტო საკითხებს და მსჯელობენ მათი გადაწყვეტის გზებზე. ამასთან, რესურსცენტრი მათაც, როგორც მთელ თემს, ტექნიკური მომსახურებითაც უზრუნველყოფს: უმზადებენ ქსეროასლებს, სხვადასხვა სახის დოკუმენტებს და ინტერნეტით ინფორმაციის მოძიებაშიც ეხმარებიან. კოკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და სპეციალისტი, რესურსცენტრში ჯგუფის წევრების მიერ გახსნილი ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსების ბენეფიციარებიც არიან. მათ გარდა კი, ცენტრში უკვე 15 ქალმა და 9 მამაკაცმა, რომელთა ასაკი 17-დან 55 წლამდეა, გაიარა ზემოთაღნიშნული კურსები, მათ შორის 9 სოციალურად დაუცველი ოჯახების, 9 დევნილის სტატუსის მქონე და 6 ადგილობრივი თემის წარმომადგენელია. ჯგუფის წევრები არაფერს იშურებდნენ ამ ადამიანებითვის. სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს კი, განსაკუთრებით მათ, ვისაც მიღებული ცოდნა სამსახურის მოსაძებნად ესაჭიროებოდათ, უანგაროდ ამეცადინებდნენ, დამატე-

## Community Development Resource Center in the Village of Koki

Self-help group Enguri was established in June, 2010 and consists of five members three of which are women and two are men. Due to their remarkable activity a community development resource center has been established in the village of Koki. All the following successes of this group are related to the work of this center.

Thanks to successful cooperation between the self-help group and local government representatives, the government allocated a free room for the resource center in an administrative building. Such proximity stimulates even closer cooperation between the representative of territorial unit or specialists and group members. Jointly the review the issues of the day and discuss the ways of solution. In addition to that, the Resource Center provided technical service both to the administration and to the whole community: carried out copying of document, search of information on internet.

Village Koki territorial unit representative and specialist are beneficiaries as well. They attend English language and computer courses conducted at the resource center. 15 women and 9 men, of age 17 to 55 participated in the training courses, including 9 members of the socially vulnerable families, 9 IDPs and 6 local community representatives. The best has been done for these people including freely enrolling and providing information for socially vulnerable family representatives, especially those, who needed to obtained knowledge for their employment. . One of trainees was a 33-year woman, who was the oldest daughter in a fourteen-member family. Previously she had applied for job vacancies in Anaklia and Zugdidi, but because of not knowing English and Computers she was not accepted and she had no funds to attend paid courses.

ბით გაკვეთილებს უტარებდნენ და ახალ-ახალ ინფორმაციებს აწვდიდნენ, რაც მიზნის მიღწევაში დაეხმარებოდათ. ერთ-ერთი ასეთი იყო უმუშევარი 33 წლის ქალბატონი, უფროსი ქალიშვილი თოთხმეტსულიან ოჯახში. მანამდე მან ბევრჯერ მიმართა გამოცხადებულ ვაკანსიებს ანაკლიასა და ზუგდიდში, მაგრამ ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნის გარეშე არსად იღებდნენ, ფასიან კურსებზე სიარულისთვის კი სახსრები არ გააჩნდა. იმედგადაწურული უკვე სახლიდან გამოსვლასაც კი ერიდებოდა, განიცდიდა, ვერაფრით რომ ვერ ეხმარებოდა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ოჯახს, რომლის გამოკვებასაც მწირი მეურნეობა ვერ აუდიოდა. ამიტომ, როცა ჯგუფის წევრებისგან რესურსცენტრის შესახებ გაიგო, სიხარული ვეღარ დამალა. *„ისე დაიწყო სწავლა, მთელი ცენტრი, რწმუნებულიც გაკვირვებული დარჩა. სამუშაო მინდა ვიშოვოო და ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ, ხელი რომ შევუწყოთ.“* (ჯგუფ „ენგური“-ს ლიდერი)

ახლა კი მან და კიდევ წარმატებით კურსდამთავრებულმა ორმა ქალბატონმა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, მიმართეს ვაკანსიებს და შედეგსაც მიაღწიეს. ისინი ანაკლიის ახლადგახსნილ სასტუმროში „ოქროს საწმისი“ მიმღებ-ოპერატორად და ზუგდიდის ერთ-ერთ კერძო კომპანიაში მდივან-ასისტენტად არიან დასაქმებულნი და უზომოდ კმაყოფილნი და მადლიერნი არიან თვითდახმარების ჯგუფის წევრებისა.

კოკის თემის განვითარების რესურსცენტრში, 2011 წლის ივნისიდან მოყოლებული, უკვე ოთხი ტესტირება ჩატარდა ინგლისურ ენაში, 11 წარმატებულ ბენეფიციარს შორის, რომლებსაც სერთიფიკატები გადაეცათ, ორი ახალგაზრდა ვაჟიც იყო ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. ისინი მიღებული ცოდნის გამოყენებას ჯარში გაწვევის დროს აპირებენ, სადაც, დარწმუნებულები არიან, რომ კარგ სამსახურს იშოვიან. ყველა დიდ იმედს ამყარებს ახალგაზრდებზე, მათ შორის კოკის რწმუნებული და მისი ასისტენტიც, რომლებიც ესწრებოდნენ და დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ტესტირებას.

Desperate, the woman did not want even to leave the house and suffered emotionally because she could not provide any assistance to the family who was experiencing extreme financial hardship and was finding it difficult to make ends meet through self-managed natural economy. After receiving the information about the resource center she immediately got involved in the training course. *“She started studying hard; the whole center, even the representative was surprised. She said that she wanted to find a job and therefore we did our best to assist her.”* (Enguri group leader)

Now she and two more successful graduates from socially vulnerable families have applied for job openings and succeeded in securing jobs offers. One is employed at Anaklia newly opened hotel, Okros Satsmisi, as receptionist operator and the other is at one of Zugdidi’s private companies as a secretary assistant. Both are enormously happy and grateful to the members of the self-help group.



ჯგუფის ლიდერი პარალელურად მუშაობს ხურჩის თემში[10] და ასწავლის ინგლისურ ენას თოთხმეტზე მეტ მოზარდს. მათგან ოთხი მოსწავლე აფხაზეთიდან, სოფელ ბარღებიდან და ნაბაკევიდან, განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოირჩევიან. ისინი ზოგჯერ, უამინდობის მიუხედავად და რისკის ფასად, კვეთენ პირობით ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს, რომ არ გააცდინონ გაკვეთილები. ენაში ტესტირება, სხვა მოსწავლეების მსგავსად, ხურჩის ჯგუფსაც ჩაუტარდა. ტესტირებას ხურჩაში დაესწრო რადიო „თავისუფლების“ რედაქტორიც. სოფელში რეპორტაჟის გასაკეთებლად ჩასული იგი შემთხვევით შეხვდა ახალგაზრდებს, რომლებიც ტესტირების ჩასატარებლად კოკიდან ფეხით მომავალ პედაგოგს ელოდებოდნენ, შედეგებით და ბენეფიციარებისგან ნდობის ხარისხით აღფრთოვანებულმა და გაოცებულმა ჟურნალისტმა, ყველასგან აიღო ინტერვიუ და არაერთხელ აღნიშნა, რომ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ასეთი საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად დღითიდღე იზრდება ჯგუფის რეპუტაცია და იმიჯი. კიდევ ბევრი მსურველის გამო, ისინი აპირებენ თემის განვითარების რესურსცენტრის გაფართოებას, რათა უფრო მეტმა ადამიანმა შეძლოს განათლების მიღება დასაქმებისთვის.

## მუშაობა სკოლამდელ აღსაზრდელებთან საზღვრისპირა სოფლებში ხურჩასა და კოკში

თვითდახმარების ჯგუფის „ენგური“ საქმიანობის მნიშვნელოვანი და საკმაოდ წარმატებული მიმართულებაა საზღვრისპირა სოფლებში სკოლამდელ აღსაზრდელებთან მუშაობა.

10. სოფელი მდებარეობს საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე და ესაზღვრება კონფლიქტურ ზონას, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს აფხაზეთში, მათ შორის პირობითი გამყოფი ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლია.

At Koki community resource center, starting June 2011, four testings/examinations have taken place in English and 11 successful beneficiaries, including two young men from socially vulnerable families have obtained certificates. They expect to use newly acquired language skills while serving in the army, where they are confident that they will get a good job. Villagers have hopes for these young people, including Koki's representative and his assistants who attended the trainings and followed up the testings/examinations with great interest.

The group leader simultaneously works at Khurcha's community[14] and teaches English language to more than fourteen young people. Four of them are from the villages of Barghebi and Nabakevi of Abkhazia. These young people show a special enthusiasm in studying and quite often these individuals do their best not to miss classes despite the bad weather and high risk associated with crossing a de facto administrative boundary line. Khurcha village group, along with other students also completed testing. When the editor for Radio Freedom attended she by chance met the young people as she was preparing materials on the village. These young people were waiting for a teacher who was coming from Koki on foot. The journalist was surprised by the test results and the level of confidence and pointed out several times that her experiences there had exceeded her expectation.

The group's reputation has dramatically improved after training and education and this is mainly due to interest from potential participants which is expected to expand the resource center in order to enable enrollment of more people.

14. The village Khurcha is located on the territory controlled by Georgia and borders the conflict zone, village Nabakevi in Gali region of Abkhazia. There is an administrative boundary line between these villages.

აღსანიშნავია, რომ ხურჩასა და ნაბაკევში[11] მრავალი წელია აღარ მოქმედებს საბავშვო ბაღი, რაც უთუოდ შეამსუბუქებდა ქალთა ყოველდღიურ ყოფას და ბავშვებს მისცემდა სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამ პრობლემის დასაძლევად ჯგუფის ლიდერმა სოფლებში სკოლამდელ აღსაზრდელთა ჯგუფის შეკრება და მათი მეცადინეობა გადაწყვიტა. ბუნებრივია, ინიციატივა მაშინვე სიხარულით აიტაცეს მშობლებმა და დაუყოვნებლივ შედგა ჯგუფიც 19 ბავშვისგან. ჯგუფს „მტრედები“ დაარქვეს. „ენგური“-ს წევრები უსაზღვრო მონდომებით შეუდგნენ პატარების მეცადინეობას მათემატიკაში, ინგლისურსა და მუსიკაში. ჯგუფის ლიდერი და კიდევ ორი მოხალისე წევრი ხშირად სოფელ კოკიდან რვა კილომეტრს ფეხით გადიან, რომ ხურჩაში ბავშვებს გაკვეთილები ჩაუტარონ და მშობლების იმედები გაამართლონ. 19-დან ცხრა ბავშვი მშობლებს მორიგეობით გადმოჰყავთ სოფელ ნაბაკევიდან კვირაში სამჯერ, რათა ათიდან ორ საათამდე მათმა შვილებმაც, დანარჩენ აღსაზრდელებთან ერთად, სკოლისათვის აუცილებელი საწყისი ცოდნა უფასოდ შეიძინონ.

ჯგუფის წევრებს ხშირად სათემო მუშაკი და მათი ბენეფიციარებიც ეხმარებიან გაკვეთილების ჩატარებაში. ამ დროს მათ არაერთი სტუმარიც მიიღეს, მათ შორის გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ევროკავშირისა და ფონდის „სოხუმი“ წარმომადგენლები, რომლებიც კმაყოფილებით ისმენდნენ პატარების მისალმებებს ქართულად თუ ინგლისურად.

ერთობლივი შრომა და მშობელთა მონდომება საწინდარი გახდა იმისა, რომ ჯგუფმა განცხადება შეიტანა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღის გახსნის მოთხოვნით სოფელ ხურჩაში. საკითხით დაინტერესდნენ და საქმეში ჩაერთნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც, სოფლის დეპუტატი და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, რომელთა ინფორმაციითაც, 2012 წელს, მუნიციპალიტეტის მხარდა-

11. სოფელი გალის რაიონში.

## Working with pre-school children in the villages of Khurcha and Koki adjacent to an administrative boundary line

Self-help group Enguri’s significant and quite successful direction is a work with pre-school children in the villages adjacent to administrative boundary line.

It must be pointed out that kindergarten has not functioned in villages Khurcha and Nabakevi[15] for many years and the opening of a kindergarten would definitely reduce the daily burden of women and give the children an ability to obtain pre-school education. For the purpose of overcoming the problem  group leaders decided to make up a group of pre-school children and provide them with a pre-school education. It is natural that the initiative was supported by parents and a group of 19 children was made up. The group was named Mtredebi.

The members of Enguri began their hard work through teaching mathematics, English and music to preschool children. The group leader and two more leaders often walk about eight kilometers from village Koki so that to hold classes in the village of Khurcha and to justify the hopes of parents. Nine out of nineteen children are brought by parents on rotation based from the village of Nabakevi three times a week so that their children along with other children get free pre-school education from ten to two o’clock.

Group members are often assisted by community worker and the beneficiaries also give a hand in the course of classes. The organization hosted a number of guests including the representatives of UN Women, EU and Sokhumi Fund, who listened with interest to the greetings of children in Georgian and English.

15. This village belongs to Gali region

ჭერით, ხურჩაში გაიხსნება საბავშვო ბაღი, სადაც ჯგუფის ორი წევრი და თემის კიდევ ორი წარმომადგენელი დასაქმდება.

ჯგუფს არც სოფელ კოკის სკოლამდელთათვის დაუკლია ზრუნვა. მისი ლიდერი ბავშვებს სამი თვის განმავლობაში უტარებდა ინგლისურის გაკვეთილებს. სწავლების დასასრულს დანარჩენი წევრების დახმარებით ზეიმი მოეწყო, რომელზეც აღსაზრდელებმა მიღებული ცოდნა წარმოაჩინეს და უზომოდ გაახარეს მასწავლებელი, მშობლები და სხვა დამსწრეები.

Joint work and parents efforts soon laid a foundation for a group to submit an application at a local municipality to request opening of a kindergarten at the village of Khurcha. Local self governance representatives became interested with this topic and got involved in it, including the village majoritarian a member of the Parliament and territorial unit representative. According to them and through the support of the municipality, a kindergarten will be opened in 2012 in the village of Khurcha. Two members of the group and two more members of community will be employed in this kindergarten.

The group also provided its care for the graduates of village Koki The group leader delivered an English class for three months. Upon the completion of study the graduates showed their knowledge at a graduation ceremony and made their teacher, parents and other attendants extremely proud.



## თევზსაჭერი სოფელ კოკში

კოკის თემის ხუთი წამომადგენელი, რომელთა შორის 4 ქალია, 2010 წლის ივნისში გაერთიანდა და შექმნა თვითდახმარების ჯგუფი „ნალიმა“. ჯგუფი ახორციელებს პროექტს, რომელიც გულისხმობს თევზსაშენის მოწყობას. პროექტი ბუნებრივ პირობებზე ხედმიწევნით მორგებულია და შესაბამისად დაიწყო გვიან შემოდგომით. ჯგუფის წევრებმა პირველ რიგში დუმფარის[12] ნერგები შეიძინეს, შემდეგ ნაწილმა მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ჩაიცვა, ნაწილმა კი ნერგებს ქვები გამოაბა და ერთობლივად ჩაუშვეს ნერგები ხელოვნურ ტბაში. როცა გარემო პირობები შექმნეს, ჯგუფის ორმა წევრმა მეზობელ სოფელში ლიფსიტები შეიძინა და მანქანით ჩამოიყვანა. *„გზაში ხშირად აჩერებდნენ და ახალ წყალს უსხამდნენ, რომ ლიფსიტებს როგორმე ცოცხლებს მოეღწიათ ჩვენს სოფლამდე“* (ჯგუფის ლიდერი). მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ ლიფსიტები ტბორში ამოძრავდნენ და გარემოსთან შეგუება დაიწყეს.

გაზაფხულზე ელექტრომომარაგებაზე ხელშეკრულება დადეს შესაბამის კომპანიასთან და ტბაში შუქიც გაიყვანეს, რომ გარემო პირობები კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ თევზებისთვის. ბუნებრივია, მათ საკვებზეც იზრუნეს, ნაწილი პროექტით გათვალისწინებული თანხებიდან შეიძინეს, ნაწილი საკუთარ წილს წარმოადგენდა. მალე თევზების ამოყვანის დროც დადგა. ჯგუფის ორმა ქალბატონმა სამი დღით ნავი და ბადე იქირავა მეზობელ სოფელში და კოკში ჩაიტანა. დაუზოგავი შრომის შედეგად: მათ 900 კგ. თევზი ამოიყვანეს, საიდანაც 500 კგ. ერთბაშად ჩააბარეს, 400 კგ.-ის რეალიზაცია კი თვითონვე მოახდინეს ქ. ზუგდიდში. მიღებული ამონაგების[13] ნახევრით ჯგუფის ხაზინა გაამდიდრეს, რითაც თავიანთი საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოებას გეგმავენ, დანარჩენი წევრებმა თანაბრად გადაინ-

12 . მცენარე, რომელიც გამოიყენება თევზის მოშენებისთვის
13. მცირე გრანტით მიღებული თანხა შეადგენდა 2900 ლარს, ხოლო ამოღებული თანხა 994 ლარს

## Fishery in Village Koki

Koki village has five representatives which includes 4 women who established the self-help group, Nalima, in June, 2010. The group implements the project, which provides for the establishment of a fishery. The project fits very well into the natural conditions hence beginning in late autumn. Group members started by purchasing water-lily[16] saplings which involved some members putting on rubber boots, some tying stones to saplings and immersing the saplings into an artificial lake.

Newly born fish were purchased and brought by car after natural conditions were created. “On our way the villagers often made stops and poured fresh water into container so that newly born fishes were able to reach Koki village alive” (group leader). They were overwhelmed by joy when they saw that the small fishes started to move in the puddle and adapt to the surrounding environment.

A contract was then signed between the group and a the lake was then connected to electricity supply in order to further improve the surrounding conditions. Fodder was also obtained by acquiring it partially through grant funds and through their own funds. Soon the time came to catch the fish. Two women rented a boat and a net in the village for three days and caught the fish. Thanks to all their hard work they were able to catch 900 kg of fish, 500 kg of which they were able to get money right for immediately and the remaining 400 kg they sold later on in Zugdidi. Half of the revenue[17] has been directed to increase the group’s treasury as the group intends to increase its activity further. The other members of the group equally subdivided the revenue and contributed to the total revenue of their families And they do not forget the community either. Five socially

16. plant used to breed the fish
17. The total amount of the small grant was 2900 GEL. Total return for the first eight months made up 994 GEL.



აწილეს და საკუთარი ოჯახების შემოსავალს შეჰმატეს. ამას-თან, არც თემს ივიწყებენ. სოციალურად დაუცველ ხუთ ოჯახს, რომლებიც თევზსაშენის მახლობლად ცხოვრობს, შესთავაზეს, როცა კი მოისურვებენ, საკუთარი ანკესებით ტბაში ითევზაონ ჩატოვებულ მოზრდილ თევზებზე და ასე შეეშველონ ოჯახს საკვები პროდუქტით.

ჯგუფის წევრები ეხმარებიან სოფლის ეკლესიასაც, რომელსაც რამდენჯერმე გადასცეს 10 კგ. თევზი სოციალურად დაუცველი, ღარიბი ოჯახებისთვის გამართული ტრაპეზისთვის.

vulnerable families, who live next to fishery, were offered an option of angling in the sea at any time on large fishes and so to help their own families with food.

The group members also provided assistance to the village church by donating 10 of fish several times for a dinner participated by socially vulnerable families.

## მებოსტნეობა ჯგუფისა და თემის სასარგებლოდ

თვითდახმარების ჯგუფი „სამეგრელო“ ჩამოყალიბდა 2010 წლის აგვისტოში სოფელ კოკში. მასში გაერთიანებულმა ხუთმა ქალბატონმა თავიდანვე დაისახა მიზნად ჯგუფის რეგულარული დანაზოგის გაზრდა და თემის ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად ჯგუფმა მებოსტნეობის განვითარება წამოიწყო. სამუშაოები მიწის საგულდაგულო დამუშავებით დაიწყეს: შემოაკავეს ნაკვეთი, გაანოყიერეს ნიადაგი, დაბარეს, მოთოხნეს და დასათესად გაამზადეს. ცუდი ამინდების მიუხედავად, ერთობლივი მუშაობით გახალისებულმა ჯგუფის წევრებმა, საკუთარი ხარჯებით პარალელურად დაამუშავეს მიწის ის ნაკვეთიც, რომელიც თავდაპირველად პროექტში გათვალისწინებული არ ჰქონდათ. შემდეგ შეიძინეს სათესლე მასალა და საჭირო სამეურნეო ინვენტარი. ჯერ კარტოფილი დათესეს, ადრეულ გაზაფხულზე კი – პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი, საშემოდგომო ლობიო და პოლიეთილენით გადახურეს. სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვნენ მათი ოჯახის წევრები და თემის სხვა წარმომადგენლებიც, ვისთვისაც ჯგუფის ერთობლივი შრომა უკვე სამაგალითო გამხდარიყო. ჩითილების ამოსვლის შემდეგ სისტემატურად წმენდნენ ნაკვეთს სარეველებისგან და ორგანული სასუქით ანოყიერებდნენ. ჯგუფს არც თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან აკლდა ყურადღება. მათ არაერთხელ მოინახულეს ჯგუფის წევრები სამეურნეო სამუშაოებისას და კმაყოფილები ადევნებდნენ თვალს საქმის საერთო მსვლელობას. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, თავიდანვე აღფრთოვანებული ჯგუფის საქმიანობით, რამდენჯერმე საკუთარი ტრანსპორტითაც დაეხმარა მათ სასუქების ადგილამდე მიტანაში.

ბოსტნეული კულტურების ჩითილების დიდი ნაწილი კოკის, ორსანტიისა და ხურჩის თემებში იქნა რეალიზებული, ნაწილი –

## Village Gardening Group for the Community Benefit

The self-help group Samegrelo, established in August, 2010 in the village of Koki consists of five women who from the very start attempted to increase the savings and assistance of the community. To achieve the objective the group began development of market gardening. The work was started by thorough processing of land: the group fenced the land plot, fertilized the soil, dug, hoed and made land plots ready for sowing. Despite the bad weather the group members were stimulated by joint work and also cultivated those land plots that were initially not provided through the project activities. The additional work was done at the expense of a self-help group and afterwards the group purchased the seedlings and other tools necessary for economic activity. First potato was sown, and later on – tomato, pepper and eggplant during the early spring. Beans were sown in autumn and covered by polyethylene. The family members along with other members of community were actively involved in the work. When the seedlings grew, the self-help group members systematically cleaned the land plot and cultivated it through an organic fertilizer. The group also received attention from self governance representatives who visited the village on a number of occasions to assess economic activities and observed the ongoing works with content. A territorial unit representative who was quite excited about the group's activity even gave a hand on several occasions and provided his vehicle free of charge to get the fertilizers delivered to the land plot.

Most part of the garden produce was sold among the members of Koki, Orsantia and Kurcha communities; some part was sold in Zugdidi market, 10,000 units of eggplant sapless and 5,000 units of

ჯგუფის წევრებმა ზუგდიდის ბაზარში წაიღეს გასაყიდად, ხოლო 10,000 ძირი ბადრიჯანი და 5,000 ძირი ბულგარული და მწარე წიწაკა ისევ სანაყოფე ნაკვეთზე დარგეს. მთელი ამ საქმიანობის შედეგად მიღებული 17%-იანი მოგება[14] წევრებს შორის გადანაწილდა თანაბრად  და საგრძნობლად მიეშველა მათი ოჯახების ბიუჯეტს. მათ მიმართ დიდ მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოხატავს თემიც, რომლის სოციალურად დაუცველმა 50-მა ოჯახმა უსასყიდლოდ, ხოლო დანარჩენმა შეღავათიან ფასებში მიიღო ბოსტნეულის ჩითილები.

*„ამ საქმიანობით, ჩვენი ჯგუფი კიდევ უფრო შეკავშირდა, სოფელში კი საუკეთესო მაგალითად გვაღიარეს იმისა, თუ როგორ შეიძლება ჯგუფის წევრებმა თავიანთ ოჯახებსაც არგონ და თემსაც მოუტანონ სარგებელი“* (ჯგუფი „სამეგრელო“-ს ლიდერი).

14. მცირე გრანტით მიღებული თანხა შეადგენდა 3000 ლარს, ხოლო ამოღებული თანხა 3500 ლარს 10 თვის განმავლობაში

pepper were planted on land plot. The profit in the amount of 17%[18] as a result of activity was evenly distributed among the members and significantly assisted the budgets of their families. The community is very grateful to self-help group because 50 socially vulnerable families received produce free of charge, while the other community families received it at a discounted price. *"With this activity, our group was strengthened even further and the villagers recognized us as the best example of how group members can benefit not only their own families but also the community as a whole"* (Samegrelo group leader)



18. The total amount of small grant made up GEL 3000 and the return on investment made up GEL 3500 during the 10 months